

ა. კ.

# სახარების განმარტება

II.

სახარება მარკოზისაგან.



თბილისი

ქლექ.-მბეჭ. სტამბა არ. მ. ქერესელიძისა, შაბაშვ. შესახვ. № 1.  
1915 წ.

## სახარების განმარტება.

სახარება მარკოზისაგან.

მეორე სახარების დამწერი არის ერთი სამეოცდაათ მოციქულთაგანი, წმიდა მარკოზი. მახარებელს მარკოზს, როგორც სჩანს საღმრთო წერილის წიგნთაგან, ერქვა მეორე ახელიც, — იოანე; ის იყო ტომით ურია, შვილი მდიდრის ერუსალიმელის ქალის მარიამისა, რომელსაცა ჰქონდა იერუსალიმში საკუთარი სახლი; ამ სახლში სცხოვრობდა წმ. პეტრე მოციქული საპრობილედან სასწაულებრივად განთავისუფლების შემდეგ, აქვე იკრიბებოდნენ წმ. მოციქულებიც ალოცავად. (საქმე მოც. 12). მარკოზ მახარებელი იყო ახლო ნათესავი ბარნაბა მოციქულისა (კოლ. 4, 10) და მას და პავლე მოციქულის ახლდა ქადაგების დროს (საქმე მოც. 12, 25); როცა წმ. მოციქული მეორედ შეპრობილ იქმნა რომში და საპრობილეში იმყოფებოდა, მან მისწერა ტიმოთეს მოსულიყო მასთან და თან წამოეყვანა მარკოზი, რომელიც საჭირო იყო მისთვის სამსახურებლად (2 ტიმ. 4, 11). მარკოზ მახარებელს წმ. პეტრე მოციქული უწოდებს ძედ, რადგანაც მან მოაქცია იგი ქრისტეს სარწმუნოებაზე. ამ წმიდა მოციქულსაც ახლდა მარკოზი რომში. ჰგონებენ, რომ მარკოზ მახარებელი იყო ის ქაბუკი, რომელიც დაესწრო ქრისტეს შეპრობას გეთსამანიის მტილში (მარკ. 14, 51). ისტორიკოსი ეკლესიისა ევსევი მოგვითხრობს, რომ წმ. მახარებელი მარკოზი ჰქადაგებდა სახარებას ეგვიპტეში და ბლექსანდრიაში ეკლესიაც დააარსა და იყო იქ პირველ ეპის-

კოპოზად; შემდეგ წმ. მარკოზი ალექსანდრიიდან წავიდა პენტაპოლიში, აქაც იქადაგა სახარება ქრისტესი და დაბრუნდა ისევ ალექსანდრიაში, სადაც რიცხვი ქრისტეანეთა თვალსაჩინოდ გამრავლებულიყო. მეგვიპტელთა ღმერთის სერაპისის დღესასწაულის დღეს წარმართებმა შეიპყრეს წმ. მოციქული და მოჰკლეს. სხეული წმ. მოციქულისა დამარხეს ალექსანდრიაში, მაგრამ 827 წელს ვენეციელმა ვაჭრებმა წაასვენეს იგი ვენეციაში და ამდროიდან წმ. მახარებელი მარკოზი შეიქმნა ვენეციის ქალაქის ზეციურ მფარველად. აქმისს სახელზე ააგეს მშვენიერი საკრებულო ტაძარი.

**გარემოებანი მარკოზის სახარების დაწერისა, პირველი დანიშნულება მისი, დრო და ადგილი მისის დაწერისა, ენა სახარებისა, საზოგადო ხასიათი ამ სახარებისა.**

ზემოდ მოვიხსენეთ, რომ მარკოზ მახარებელი პეტრე მოციქულმა მოაქცია ქრისტეს სარწმუნოებაზე და ამიტომ უწოდებს მას ძედ. როგორც მოწმობს გარდმოცემა, ღირსი სრულის ნდობისა, წმ. მარკოზი იყო მახლობელი მოწაფე პეტრე მოციქულისა. წმ. პაპი იერაპოლის ეპისკოპოზი ბრძანებს, რომ მარკოზმა დაწერილებით დასწერა, რავდენადაც დაახსოვდა, ის, რასაც იქმოდა და ასწავლიდა უფალი. რადგანაც მარკოზი თვითონ არა ჰხლებია უფალს და არც მოუსმენია მისი ქადაგება, ამიტომ მას არც რიგზე ჩაუწერია უფლის მოძღვრება. წმ. კლიმენტ ალექსანდრიელი უფრო ვრცლად მოგვითხრობს ამის შესახებ. ის ამბობს,—როცა პეტრე მოციქული და მისი მხლებელი და მოწაფე მარკოზი რომში იყვნენ, იქაურმა ქრისტეანებმა სთხოვეს მარკოზს დაეწერა მათთვის, რასაც წმ. მოციქული პეტრე ზეპირად ქადაგებდა. პეტრე მოციქულს არც წინააღმდეგობა გაუწევია ამისთვის და არც წაუქეზებია მარკოზი. მას ესიაზოვნა ასეთი გულმოდგინება რომაელებისა და როცა მარკოზმა უჩვენა მას დაწერილი სახარება, პეტრე მოციქულმა საჯაროდ მოიწონა იგი, დაამტკიცა თავისის სახელით და ნება დართო მისის კითხვის ეკლესიებში. „ამ წერილსაო, ბრძანებს წმ. კლი-

მენტი, ეწოდება სახარება მარკოზისაგან“; ამასვე ბრძანებენ სხვა წმიდა მამებიც, ასე რომ ჩვენი მეორე სახარება არის სახარება წმ. პეტრე მოციქულისა და ასეთად რაცხს მას წმ. იუსტინე ფილოსოფოსი. ამიტომ ეს სახარება წმიდა ეკლესიამ პირველიდანვე მიიღო ყველასთვის სავალდებულო საღმრთო წერილის წიგნად

ზემოდ მოვიხსენიეთ, რომ მარკოზმა დასწერა ის, რასაც ზეპირად ქადაგებდა მოციქული პეტრე რომში; ამითი აიხსნება რომ ამ სახარებაში ხანდახან გამოტოვებულია რაც არის საქებური და მოსაწონი პეტრეს მოციქულის საქციელში მაგრამ, პირიქით, მეტწილად მოთხრობილია ის, რაც უფრო ააშკარავებს მისს დანაშაულს. მაგალითად, პეტრე აღსარებაზე მოთხრობაში არ არის სიტყვები: შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა ადვანო ეკლესიაჲ ჩემი (მარკ. 8, 29; მატთ. 16, 17); ხოლო პეტრე მოციქულის უარყოფის შესახებ მოთხრობილია ისეთის დაწვრილებით, რომ უფრო დიდდება მოციქულის დანაშაული. (მარკ. 14, 72, მატთ. 26, 75; 61.). მატათას მოციქულად არჩევს წინ პეტრე მოციქულმა სიტყვა, რომ ახლად არჩეული იუდას წილ უნდა იყოს მოწმე იესო ქრისტეს საქმეთა იოანეს ნათლისცემიდან ქრისტეს ზეცად ამაღლებამდე და მარკოზ მახარებელსაც გამოტოვებული აქვს სახარებაში ამბები იესო ქრისტეს ბავშობისა და ყრმობისა, და იწყებს იოანეს ნათლისცემიდან და ათავებს ქრისტეს ამაღლებით. (საქმე. მოც. 1, 22; 10, 31-42).

მარკოზ მახარებელი მოციქულების ჩამოთვლის დროს პეტრეს არ უწოდებს „პირველად“, როგორც ამას იხსენებს სტთე მახარებელი. ყოველივე ეს აიხსნება მხოლოდ პეტრე მოციქულის სითავმდაბლით.

მარკოზის სახარება დანიშნული იყო წარმართობიდან ოქცეულ ქრისტეანეთათვის; ეს ცხადია თვით მოთხრობის აგანთაგან. მახარებელი ეხება იმ საგნებს, რომლებსაც აქვთ ნიშნენლობა მხოლოდ წარმართთაგან მოქცეულთათვის და ბჭირო არიან მათთვის. ის, მაგალითად, სრულიად არაფერს არ

ამბობს იესო ქრისტეს წარმოდგომის შესახებ აბრაამისგან და დავით მეფისგან. მას ან სრულიად არ მოჰყავს მაცხოვრის მხილებითი საუბრები ურიებთან ძველი აღთქმის სჯულის შესახებ, ან სულ მოკლედ ეხება ამას; აგრეთვე მცირედ მოჰყავს მოწმობანი ძველადღებულ საღრმთო წერილიდან. სამაგიეროდ, ის მეტს ყურადღებას აქცევს მაცხოვრის სასწაულების აღწერას, რადგანაც ამას უფრო მნიშვნელობა ჰქონდა წარმართთათვის; როცა აღწერს ებრაელთა რომელსამე ჩვეულებას, უთუოდ თან დაურთავს ხოლმე განმარტებასაც, რაც საჭირო იყო მხოლოდ არაურიათათვის; ამავე მიზეზისაგამო, ის განმარტებს ებრაულს და ასრულქალდეურს სიტყვებსაც. ამ სახარებაში იმისი საბუთებიც მოიპოვება, რომ ის რომაელთათვის იყო დაწერილი, მაგ. მოთხრობაში შესახებ ღარიბ დედაკაცისა, რომელმაც ფულის საცავში დასდო ორი მწველილი, მახარებელი განმარტებს, რომ ეს ორი მწველილი რომაულად ფულზე ანგარიშით შეადგენს კოდრანეტს. სვიმონ კვირინელზე მახარებელი ამბობს, რომ ის იყო მამა ალექსანდრესი და როფესი, რომლებსაც იცნობდნენ რომაელები (რომ. 16, 13).

სახარება მარკოზისაგან დაწერილია რომში, დაახლოვებით 67 და 69 წლებში ქრისტეს შობის შემდეგ და დაწერილია ბერძნულს ენაზე, რომელიც მაშინ რომის იმპერიაში გავრცელებული და საყოველთაო სახმარებელ ენად ითვლებოდა.

წმ. მარკოზს მოკლედ და მარტივად აქვს მოთხრობილი ისტორია სახარებისა. ის, მეტნაწილად, მოგვითხრობს იმ ფაქტებს იესოს ცხოვრებიდან, რომლებითაც გამოხატულია იესო ქრისტეს ღვთაება, მისი სასწაულებრივი ძალა და ამასთანავე მოყვანილია სასწაულები და საქმეები, რომლებიც მაცხოვარმა ჰქმნა ყრბათა ზედა; იესოს სწავლა-მოდღვრების შესახებ კი მახარებელი მარკოზი სულ მცირედ ლაპარაკობს, არ მოჰყავს მატეოსა და იოანესავით გრძელი მოძღვრებანი. ეს სახარება ისე ცოცხლად, მარტივად და ადვილად გასაგებად მოგვითხრობს სასწაულებს, თითქოს დანიშნული იყოს „ყრმა

თათვის სარწმუნოებაში\*. ამ სახარებაში აღწერილია იესო ქრისტეს საქმენი გალილეაში, პერიაში და ურიასტანში. სახარება შესდგება 16 თავისაგან, იწყება იოანე ნათლის მცემლის მსახურებად გამოსვლის და თავდება იესო ქრისტეს ზეცად ამაღლების აღწერით.

## სახარება მარკოზისაგან.

### თავი პირველი.

1. დასაბამი სახარებისა იესო ქრისტესი: ძისა ღმრთისა.

2. ვითარცა წერილ არს წინასწარმეტყუელთა მიერ: აჰა ესერა, მე წარვაელინო ანგელოზი ჩემი წინაშე პირსა შენსა, რომელმან განჰმზადნეს გზანი შენნი წინაშე პირსა შენსა.

3. ხმა მლაღადებელისა უდაბნოსა: განმზადენით გზანი უფლისანი, და წრფელ-ჰყუნით ალაგნი მისნი.

4. იყო იოანე უდაბნოსა, და ნათელ-ჰსცემდა და ჰქადაგებდა ნათლის ცემასა სინანულისასა მისატევებელად ცოდუთა.

5. და განვიდოდა მისა ყოველი სოფლები ურიასტანისა და იერუსალიმელნი და ნათელ-იღებდეს მისგან ყოველნი იორდანესა მდინარესა, და აღუარებდეს ცოდუთა მათთა.

## I

იოანე ნათლის მცემელი (1—8). ნათლის ღება ქრისტესი (9-11). გამოცდა ქრისტესი უდაბნოში (12-13). ქადაგება იესო ქრისტესი გალილეაში (14-15). მოწოდება ოთხთა მოწაფეთა (16-20). იესო ქრისტე კაპერნაუმის შესაკრებელში, განკურნება ეშმაკეულისა (21-18). განკურნება სვიმონ პეტრეს სიდედრისა და სხვათა (29-34). განსვლა უდაბნოდ (35-37). ქადაგება გალილეის სოფელ-ქალაქებში (38-39). განკურნება კეთროვნისა. (40-45).

1. მარკოზ მახარებელი სახარების დასწყისშივე გვიჩვენებ

6. ხოლო ემოსა იოანეს სამოსლად თმისაგან აქლემისა და სარტყელი ტყავისა წელთა მისთა, და ჰსკამდა იგი მკალსა და თაფლსა ველურსა.

7. ჰქადაგებდა, და იტყოდა: ესერა მოვალს უძლიერესი ჩემსა შემდგომად ჩემსა, რომლისა ვერ ღირს ვარ განჰხსნად საბელსა კმალთა მისთასა.

8. მე ნათელ-გცემთ თქვენ წყლითა, ხოლო მან ნათელ-გცეს თქვენ სულითა წმიდითა.

9. და იყო მათ ღღეთა შინა, მოვიდა იესო ნაზარეთით გალილევასაჲთ, და ნათელ-ილო იოანესგან იორდანესა,

10. და მეყქსეულად, აღმოსლქასა მისსა მიერ წყლით იხილნა ცანი განხმულნი და სული ღმრთისაჲ გარდამომავალი, ვითარცა ტრედი, მის ზედა.

11. და კმა იყო ზეცით: შენ ხარ ძე ჩემი საყუარელი: შენ სათნო-გიყავ.

12. და მეყქსეულად სულმან განიყუნა იგი უდაბნოდ.

13. და იყო მუნ ორმეოცდღე და გამოიციდებოდა ეშმაკისაგან, და იყო მკეცთა თანა, და ანგელოზნი მსახურებდეს მას

---

ნებს, რომ მსახურება იესო ქრისტესი დაიწყო ისე, როგორც წინასწართქმული იყო. ძველ აღთქმის წინასწარმეტყველთაგან, ე. ი. მის წინ მოივლინა იოანე ნათლის მცემელი საქადაგებლად და მოსამზადებლად ერისა ქრისტე მაცხოვრის მიღებისათვის

მახარებელი იესო ქრისტეს პირდაპირ უწოდებს ძედ ღმრთისად. რადგანაც მარკოზ მახარებელს სახარება დანიშნული იყო წარმართობიდან ქრისტიანობაზე მოქცეულთათვის, ამიტომ საჭირო აღარ იყო იესოს გვარტომობის აღწერა, დამტკიცება იმისი, რომ ის წარმოსდგა აბრაამ მამათ მთავრის და დავით მეფისგან. იესო ქრისტე, თანახმად მარკოზ მახარებელის სიტყვითა, არის არა

14. და შემდგომად მიცემისა იოანსსა, მოვიდა იესო კალილეად, ჰქადაგებდა სახარებასა სასუფეველისა ღმრთისაჲსა

15. და იტყოდა, ვითარმედ აღსრულებულ-არს ჟამი, და მოახლებულ-არს სასუფეველი ღმრთისა; შეინანეთ და რწმენინ სახარებისაჲ.

16. ხოლო ვიდოდა რა ზღვს-კიდესა მას გალილეისასა, ხილნა სკმონ და ანდრეაჲ, ძმად მისი, ითხელვიდეს რა ზღუასა მასა ზედა, რამეთუ იყვნეს იგინი მესათხევლე.

17. და ჰრქვა მათ იესო: მოვედით და შემომიდევით მე და გყუნე თქვენ მესათხევლე კაცთა.

18. ხოლო მათ მეყჩესეულად დაუტევნეს ბადენი მათნი და მიჰსდევდეს მას.

19. და მცირედ წარვიდა და იხილა იაკობ ზებედესი და იოანს, ძმად მისი და იგინი განაგებდეს ბადეთა ნავსა შინა.

20. და უწოდა მათ. ხოლო მათ მეყჩესეულად დაუტევეს ზებედეს, მამად მათი ნავსა შინა მუშაკთა მისთა თანა, და მისდევდეს მას.

21. და შევიდეს კაპერნაუმად, და მეყჩესეულად ღდესა მამათსა შევიდა შესაკრებელსა მათსა და ასწავებდა მათ.

22. და განუკვრდებოდა ერსა მას მოძღვრებაჲ იგი მისი;

---

უბრალო კაცი, არამედ ძე ღვთისა, მხოლოდშობილი, რომელსაც ჰშვენის თაყვანისცემა და პატივი ღვთაებრი და რომლის სახარება და ქადაგება ღირსია სრულის და უეჭველის დობისა და რწმენისა.

2-3 მახარებელს მოჰყავს წინასწარმეტყველებანი მალაქიასი და ისაიასი წინამორბედის მოვლინების შესახებ იესო ქრისტეს მოსვლის წინ. იოანე წინამორბედი იწოდება ანგელოზად ანგელოზურის ცხოვრებისათვის და ქრისტეს მოსვლის ხარებისათვის; უწინდელს დროში მეფის მობრძანების წინ წარგზავნიდნენ ხოლმე შიკრიკებს, რომლებსაც უნდა შეეკეთებინათ და გაესწორებინათ გზები, რომ მეფის მოგზაურობისთვის ხელი არაფერს შეეშალა; იოანე ნათლის მცემე-

რამეთუ ასწავებდა მათ, ვითარცა იგი ვის აქუნ კელმწიფებად და არა ვითარ იგი მწიგნობარნი მათნი.

23. და იყო კრებულსა მას შინა მათსა კაცი, რომლისა თანა იყო სული არაწმიდა, დალად-ჰყო

24. და ჰსთქვა: ეჰა, რაჲ არს ჩუენი და უენი იესო ნაზარეველო? მოსრულს ხარ წარწყმედად ჩუენდა. გიციოთ შენ ვინ ხარ, წმიდაჲ ეგე ღმრთისა.

25. უერისხნა მას იესო და რქვა: პირი დაყავ და განვედ მაგისგან.

26. და დაჰსცა იგი სულმან არაწმიდამან და კმა ჰყო კითა დიდითა; და განვიდა მისგან.

27. და დაუკვრდებოდა ყოველთა, ვიდრე გამოძიებამდე ურთიერთას და იტყოდეს: რამე არს მოძღვრება ესე ახალი, რამეთუ კელმწიფებით სულთაცა არაწმინდათა უბრძანებს და ერჩიან მას?

ლიც წარგზავნილ იყო იესოს მოსვლამდე მოსამზადებლად, ერისა.

4-8 მარკოზ მახარებელი მოკლედ მოგვითხრობს იოანე ნათლის მცემლის ცხოვრებისა და ქადაგების შესახებ. ის არასახელებს იმ უდაბნოს, სადაც ჰქადაგებდა იოანე; მატთე მახარებლის სიტყვით კი, ეს უდაბნო იყო უდაბნო ურიასტანისა. იოანე ჰქადაგებდა ნათლას ღებასა სინანულისსა მისტეგებულად ცოდნათა, ე. ი. მასთან მოსულებს უნდა აღეარათ ცოდვანი თვისნი გულახდილად, დაუფარავად და წყალში ნათლის ღებით დაემოწმებინათ, რომ ისინი ეცდებიან განიწმინდონ სული თვისი ცოდვათაგან. იოანე წინამორბედის ტანისამოსს და საკმელს მახარებელი მარკოზი აღგვიწერს ისევე, როგორც მატთე. აქ ცხადად სჩანს თავმდაბლობა იოანე ნათლის მცემლისა,—ის ღირსიც კი არ არის რომ მოიხაროს წელში და გახსნას თასმა იესო ქრისტეს ფეხსაცმლისა. იოანე ერს ნათელს სცემდა წყლითა, იესო ქრისტე კი ნათელს სცემს სულითა წმიდითა.

28. და განჰახდა ამბავი მისი ყოველსა მას სოფლებსა გალილეასაჲსა.

29. და მიერ შესაკრებელით გამოვიდა, და მოვიდა სახლსა სვმონისსა და ანდრეასსა, იოანეს და იაკობისთანა.

30. ხოლო სიდედრი სვმონისი დავრდომილ იყო მკურვალეებითა, და უთხრეს იესოს მისთვის.

31. და მოვიდა და უპყრა ხელი მისი და აღადგინა იგი და მეყუჩეულად დაუტევა იგი მკურვალეებამან მან და აღსდგა და მსახურებდა მათ.

9-11 და იყო მათ დღეთა შინა, ე. ი. როდესაც იოანე ნათლის მცემელი ჰქადაგებდა იორდანის ნაპირებზე, მასთან ნაზარეთიდან მოვიდა იესო ქრისტე და ნათელ-ილო მისგან; იესო ქრისტეს ნათლის ღების ამბავი მარკოზ მახარებელს მოთხრობილი აქვს მოკლედ და თანახმად მატთე მახარებელს მოთხრობისა.

12-13. მოკლედვე აქვს მოთხრობილი იესო ქრისტეს გამოცდის ამბავიც. მას გამოტოვებული აქვს მატთეს მოთხრობა სამის გამოცდის შესახებ ორმოცის დღის მარხულობის შემდეგ. ის მხოლოდ იმას ამბობს, რომ მაცხოვარი უდაბნოში ეშმაკისგან გამოიცილებოდაო. ალბათ გამომცდელი ორმოც დღის განმავლობაში დაფარულად სცდიდა იესოს, ცდილობდა ჩაეგონებინა მისთვის აზრები საწინააღმდეგო ქეშმარიტის მესიის მოქმედებისა, ღირსებისა და მსახურებისა. მახარებლი გამოცდის შესახებ მოთხრობაში ამბობს, რომ იესო უდაბნოში იყო მხეცთა თანა და ამით გვაჩვენებს, რომ მაცხოვარმა უდაბნოში ყოფნის დროს აღადგინა მორჩილება მხეცებისა კაცისადმი, რაც დარღვეული იყო ადამის შეცოდების შემდეგ, მხეცნი ემორჩილებოდნენ იესოს და არც ერთი მათგანი არ შექმნილა მისთვის გამოცდის იარაღად, როგორც ძველ ოდესმე გველი ადამისათვის. ანგელოზნი მსახურებდეს იესოს, თანახმად მატთეს მოთხრობისა, გამო-

32. და ვითარ შემწუხრდებოდა და მზე დაჰვიღოდა, ჰოჰყუანდეს მისა ყოველი სნეულნი და ეშმაკეულნი.

33. და ყოველი ქალაქი შეკრებილ იყო წინაშე კართა

34. და განჰკურნა ყოველნი ბოროტთაგან სენტა, და თითო სახეთაგან სნეულებათა, და ეშმაკნი მრავალნი განასხნა და არა უტევებდა სიტყუად ეშმაკთა მათ, რამეთუ იცოდეს იგი ვითარმედ ქრისტე არს.

---

ცდის გათავებისა შემდეგ (4,11). მარკოზ მახარებელი კი მოკლე მოთხრობაში არ არჩევს ამას. გამოცდის დროს იესო მარტო იყო, და მხოლოდ მას ეკუთნის ძლევა ეშმაკზე,

14-15. როცა იოანე ნათლისმცემელი საპყრობილეში ჩასვებს, მაშინ იესო ურიასტანიდან, სადაც მან ნათელ იღო, მოვიდა გალილეაში, რადგანაც აქ უფრო უშიშარი იყო მისი დგომარეობა და აქ, გალილეაში იწყო ქადაგება სასუფეველის ღვთისაჲსა, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს კაცთა სუფევასთან (მატთ. 32). დრო და ჟამი რომელიც ღმერთმა დანიშნა კაცობრიობის მოსამზადებლად იესო ქრისტეს მიღებისათვის უკვე შესრულდა, სასუფეველი ცათა მოახლოვდა, საჭიროა გულწრფელი მონაწილეობა ცოდვათა და რწმენა სახარებისა; აქამომდე მოქმედებდა სჯული ძველის აღთქმისა, ეხლა კი დადგა სასუფეველი ღვთისა და უნდა ვიცხოვროთ თანახმად სახარებისა.

16-20 იესო დაბრძანდებოდა გალილეის ზღვის ნაპირზე. აქ მან დაინახა ძმები სვიმონი და ანდრია მეთევზეები, რომლებიც თევზს იჭერდნენ. იესომ უბრძანა შესდგომოდნენ მას, რადგანაც ამიერიდან ისინი უნდა ყოფილიყვნენ კაცთა მესათხვეფლე, ე. ი. ქადაგებით უნდა მოენადირნათ კაცნი მათ იმ წამსვე, მსწრაფლად დასტოვებს ბადე და შეუდგნენ იესოს. მცირედ გაიარა იესომ და დაინახა იაკობი და იოანე ზებედეს ძენი, რომლებიც ბადეებს აკერებდნენ; იესომ იმათაც მოუწოდა; ისინიც მსწრაფლად შეუდგნენ მას, დასტო

35. და განთიად, რიჭურაგს ოდენ, აღჰსდგა და გამო-  
და მიერ უდაბნოსა ადგილსა და მუნ ილოცჳდა.

36. და მიჰსდევდეს მას სჳმონ და მისთანანი.

37. და ჰპოვეს იგი და ჰრქჳეს მას: ვითარმედ ყოველნი  
ქიებენ შენ.

38. ხოლო იესო ჰრქჳა მათ: მოვედით და წარვიდეთ  
ხლობელსა დაბნებსა და ქალაქებსა, რათა მუნ უქადაგოთ,  
ამეთუ ამისჯს მოვივლინე.

---

ეს ბადეც, მუშებიც და მამაც. ესე ძლიერი და მოქმედი იყო  
იტყვა იესოსი მათთვის. მათ ღრმად სწამდათ იესო, მხოლოდ  
რთი მისი ბრძანება,— შემოხმადგეთ მე საკმარი იყო, რომ  
ქთევზებებს ყოველივე დაეტოვებინათ, რაც კი ჰქონდათ და  
ესდგომოდნენ იესოს. ეს შედგომა მოწაფეთა იესოსადმი იყო  
რაჩვეულებრივი, სასწაულებრივი.

21-28 იესო და მისნი ახლადწოდებულნი მოწაფენი შევი-  
ნენ ქალაქს კაპერნაუმში, რომელიც მდებარეობდა გენესა-  
ეთის ტბის ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარეს. უახლოვესს  
აბათს დღეს იესო შებრძანდა კაპერნაუმის შესაკრებელში  
და ასწავებდა ერს. ყველას, ვინც კი მოისურვებდა, ნება  
ქდა შესაკრებელში ქადაგებისა; იესომაც ისარგებლა ამითი.  
მშენებელი ძალიან გააკვირვა იესოს მოძღვრებამ, მიტომ რომ  
ეს მოძღვრიდა ერს არა როგორც ურიათა სწავლულნი  
წიგნობარნი, არამედ, როგორც ხელმწიფების მქონე ვინმე.  
მხარებელი არ იხსენებს მაცხოვრის ქადაგების შინაარსს, ის  
ხოლოდ გადმოგვცემს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც დას-  
ჯოვა ამ მოძღვრებამ მშენებლებზე. მოძღვრება ქრისტესი იყო  
ძლიერი და მტკიცე, ცოცხალი, ცხოველ-მყოფელი და ამაღ-  
ლებული. ის ეხებოდა უმაღლესს საგნებს და არა ისეთს წვრი-  
ანს საკითხებს, როგორც ურიათა მწიგნობრების სწავლა-  
მოძღვრება (მატთ. 7, 28-29).

აქ შესაკრებელში იმყოფებოდა ერთი ეშმაკეული კაცი,

39. და ჰქადაგებდა შესაკრებელთა მათთა და ყოველსა გალილეასა, და ეშმაკთა განასხმიდა.

40. მაშინ მოუხდა მას ერთი განკეთროვნებული, ევედრებოდა მას და მუკლნი დაიდგნა და ეტყოდა: უფალო! უკეთუ გინდეს, ძაღვიძს განწმენდად ჩემდა.

41. ხოლო იესოს შეეწყალა იგი, განჰყო კელი, შეახო

---

რომელსაც ხან-და-ხან მოუვლიდა ხოლმე სნეულება; სწორედ იმ დროს, როდესაც იესო ქრისტე შესაკრებელში იყო, ამ ეშმაკეულმა კაცმა დაიყვირა: რაჲს ჩუენი და შენი, იესო ნაზარეტელ! ე. ი. რა გინდა ჩვენგან. რას გვერჩი? მოსრულხარ წარწმედად ჩუენდა! წარწმედად, ე. სრულიად მოსპობად ეშმაკის ძაღვისა. ეშმაკი ლაპარაკობდა სხვის და თავის მაგიერადაც. გიფით ვინ ხარ შენ, წმიდაჲ ეგე ღმრთისა. ეშმაკებმა იცოდნენ იესოს ვინაობა და აღიარეს იგი ძედ ღმრთისად, მაგრამ იესომ უბრძანა ეშმაკს დაჩუმებულიყო: ჰიჩი დაიყვასრულიად საჭირო არ იყო ეშმაკების საშუალებით გავრცელება იესოს ღვთაების ამბისა; ცათა სასუფეველს არ უნდა ამგვარი მქადაგებლები. ეშმაკმა დასცა სნეული, ხმა ჰყო ხმათა დიდითა და სირცხვილეული განვიდა მისგან. იესომ სძლია ეშმაკი! იესოს მეძღვრებამ და სასწაულმა ფრიად გააკვირვეს შესაკრებელში მყოფი ერი; ეს ამბავი მალე გავრცელდა გალილეის გარშემო მდებარე ქვეყნებში.

29-31. იესო ქრისტე გამობრძანდა შესაკრებელიდან და შევიდა პეტრე მოციქულის სახლში, სადაც იწვა ანთებით სნეული სიდედრი მისი. იესოს მოახსენეს ეს ამბავი, მან უპყრა ხელი პეტრეს სიდედრს და განჰკურნა იგი. განკურნებული ადგა და ემსახურებოდა მათ.

32-34. მზის დასვლისას, როცა ღამდებოდა, იესოსთან მოიყვანეს სნეულები და ეშმაკეულები, მაცხოვარმა განჰკურნა იგინი და აღუკრძალა ეშმაკებს ლაპარაკი მის შესახებ \*).

---

\*) ბერძნულს, სლავიანურს, რუსულს და სხვა სახარებაში ნათქვამია: 34 მ., რომ იესომ განჰკურნა მრავალნი ბოროტთაგან სენთა; ქართულში კიხმარებულია სიტყვა ყოველნი.

ას და ჰრქტა: მნებაეს, განაჰსწმინდენი.

42. და ვითარცა ესე ჰსთქტა, მეყუსეულად განეყარა ას კეთროვნება იგი, და განჰწმიდნა იგი.

43. და შეჰრისხნა მას და მყუსეულად გამოაძო იგი.

44. და ჰრქტა მას: იხილე, ნუვის უთხრობ, არამედ მი-  
ედ და უჩვენე თავი შენი მღუდელსა, და შეჰსწირე განწმენ-

---

35-39. მეორე დღეს ადრე, ჯერ ისევ რიჟრაჟზე იესო  
|რისტე გამოვიდა პეტრე მოციქულის სახლიდან, განვიდა  
|ალაქ კაპერნაუმიდან განმარტოებულს ადგილს და იქ ლო-  
|კულობდა. ის ამ ლოცვაში ჰპოებდა დასვენებას დღიურ  
|პრომისგან და ზეციერს მამასთან საუბრით და ერთობით  
|კზადებოდა მეორე დღეს საქადაგებლად და საქმნელად მრავალ-  
|ნა სასწაულთა. რაკი იესო სახლში ვერა ნახეს, მოციქულებ-  
|სა იწყეს მისი ძებნა, იპოვეს იგი უდაბნოში და უთხრეს,  
|რომ ყველა მას ეძებდა. იესომ უბრძანა, რომ მისი სწავლა-მო-  
|ქღვრება უნდა მოისმინონ სხვებმაც გარდა კაპერნაუმელთა  
|და წავიდა სხვა ქალაქებშიც, ასწავლიდა შესაკრებლებში და  
|ჰკურნებდა, ეშმაკეულებს.

40-45. მარკოზ მახარებელის მოთხრობა კეთროვნის  
|განკურნების შესახებ სრულიად ეთანხმება მატთე მახარებლის  
|მოთხრობას, მაგრამ შეავსებს კი მას (მატთ. 8, 1-4). მარკოზ  
|მახარებელი მოგვითხრობს, რომ უფალმა შეჰრისხნა განკურ-  
|ნებულს. იესომ ღრმა სარწმუნოებისა გამო, განჰკურნა კე-  
|თროვანი, მაგრამ, რადგანაც მან მოსვლით იესოსთან, რომელ-  
|საც გარს ეხვია ერი მრავალი, დაარღვია მოსეს სჯული,  
|ბმიტომ შეჰრისხნა. მარკოზივე მოგვითხრობს, რომ განკურ-  
|ნებულმა არ აღასრულა იესოს ბრძანება და ფრად ლაპარა-  
|კობდა განკურნების შესახებ. აღესილმა მადლობის გრძნობით  
|და სიხარულით სასტიკ სნეულებისაგან განთავისუფლების გა-  
|მო, მან ველარ მოითმინა და, ნიშნად მადლობისა, ყველ-  
|გან და ყველას უამბობდა თვისის განკურნების შესახებ. ამის

ღისა შენისათვის, რომელი იგი ჰბრძანა მოსე საწამებელად მათდა.

45. ხოლო იგი გამოვიდა მიერ და იწყო ქადაქებად ფრიად და მიმოდანებად სიტყვსა მის, ვითარმედ ვერღარა კელეწითა მას ცხადად ქალაქად შესლუად, არამედ გარე უდაბნოთა ადგილთა იყოფოდა; და მოვიდოდეს მისა ყოველით კერძო.

### თავი მეორე.

1. და შევიდა კუალად კაპერნაუმად შემდგომად მცირედთა დღეთა; და ესმა, რამეთუ სახლსა შინა არს.

2. და მეყჩესელად შეჰკრბა მუნ სიმრავლე ერისა, ვიდრემდე ვერღარა იტევდა წინაშე კართა მათ; და ეტყოდა მათ სიტყუასა.

3. და მოვიდეს მისა და მოაქჳნდა განრღვეული ზე-კიდებული ოთხთაგან.

---

გამო ქრისტეს ძალიან დიდი ერი მისდევდა, ასე რომ ქალაქში ველარ შედიოდა ცხადად და უდაბნოში იმყოფებოდა; აქაც იკრიბებოდა მასთან ერი მრავალი, რომელსაც სურდა ენახა მისი სასწაულები, რომელიც ელოდდა, რომ იესო მესიად გამოაცხადებდა თავს.

## II

განკურნება განრღვეულისა კაპერნაუმში (1-12.) მოწოდება ლევისა (13-17.) საუბარი მარხულობის შესახებ (18 22) უანის თავთავის გლეჯა შაბათს (23-27.)

1. რავდენიმე დღის შემდეგ იესო კვალად მობძანდა კაპერნაუმში და შევიდა, აღბათ, პეტრე მოციქულის სახლში; მცხოვრებლებმა გაიგეს მისი მობძანება, გაიგეს ისიც, რომ იესო სახლში იყო; მსწრაფლად სახლთან ისე დიდი ერი შეგროვდა, რომ ეზოში ტევა აღარ იყო და ეზოდან სახლში

4. და ვითარ ვერ შეუძლეს მიახლებად მისა ერისა მის-  
ნ, აღჰსძარცუეს სართული სახლისა მის, სადა იგი იყო, და  
ვიღეს და გარდაუტევეს ცხედარი იგი, რომელსა ზედა იდგა  
ნარღვეული იგი.

5. და იხილა იესო სარწმუნოებაჲ იგი მათი, და ჰრქჳთა  
ნარღვეულსა მას: შჯლო, მიგეტევენ შენ ცოდუანი შენნი!

6. ხოლო იყვნეს ვინმე მუნ მსხდომარენი მწიგნობართა-  
ნნი, და ჰზრახვიდეს გულთა შინა მათთა და იტყოდეს:

7. ვითარმედ ესე გმობასა იტყვს; ვის კელეწიფების მი-  
ევებად ცოდუათა, გარნა მხოლოსა ღმერთსა“.

8. ხოლო იესო მეყუჩსეულად გულის-კმა-ჰყო სულითა,

ვარ შეისვლებოდა, იესო მოძღვრიდა შეგროვილს ერს.

3-12. ამ დროს ოთხმა კაცმა მოიტანა ცხედარზე მდებარე  
განრღვეული; რადგანაც ოთახში შესვლა შეუძლებელი  
ყო, მსმენელთა სიმრავლის გამო, ამიტომ განრღვეულის  
არისუფლები ავიდნენ სახლის ზანზე, ახადეს ქერი და სნეუ-  
ი ცხედრით ჩაუშვეს იესოს ფერხთა წინ. ასეთი საქციელი  
სტიკებს, რადენად ძლიერი და მხურვალე იყო სარწმუნო-  
ბა თვით განრღვეულისა და მის ქირისუფალთა, — ოღონდ  
ა განკურნებულიყო სნეული და მათ სახლის ქერის აყრაც  
ი გაბედეს. იესომ უბრძანა განრღვევულს: შჯლო, მიგეტევენ  
შენ ცოდუანი შენნი; იქ მყოფნი მწიგნობარნი, სწავლულნი  
რიანი გულში ამბობდნენ: ვის კელეწიფების მიტევებად ცოდ-  
უათა, გარნა მხოლოსა ღმერთსა? ურიებს შეუძლებელად მიაჩნ-  
ათ კაცის მიერ ცოდვათა მიტევება, თუ გინდ რომ წმიდაც  
ოფილიყო ეს კაცი. მათის შეხედულობით, ცოდვათა შენ-  
ობა შეეძლო მხოლოდ ღმერთს, ან მისის ბრძანებით, ან გე-  
ოზს. იესომ გულის-კმა-ჰყო, ე. ი. გაიგო მწიგნობართა  
ბრები, როგორც გულთა მხილავმა, დაფარულთა მცოდნე  
ღმერთმა; მან უბრძანა მწიგნობრებს, რომ მას, როგორც  
შემართს ღმერთს, მხოლოდ იგივეს აქვს ნება ცოდვათა მიტევე-

რამეთუ ესრეთ ჰზრახუენ გულთა შინა მათთა, და ჰრქტა მათ: რასა მაგას ჰზრახავთ გულთა შინა თქტენთა“.

9. რა უადვილეს არს სიტყუად განრღტეულისა ამის: მიგეტევნენ ცოდუანი შენნი, ანუ თქმად: აღჰსდგე, აღილე ცხედარი შენი და ვილოდე“?

10. ხოლო რათა უწყოდეთ, რამეთუ კელჰწიფებაჲ აქტს ძესა კაცისასა ქტეყანასა ზედა მიტევებად ცოდუათა ჰრქტა განრღტეულისა მას:

11. შენ გეტყვ აღჰსდგე და აღილე ცხედარი შენი, და წარვედ სახიდ შენდა.

12. და მეყტსეულად აღჰსდგა იგი, და აღილო ცხედარი თჳსი და გამოვიდა წინაშე ყოველთასა, ვითარმედ განუკრდებოდა

ბისა და, უკვე ცოდვებ შენდობილს და მიტევებულს განრღტეულს უბრძბნა აღჰსდგე და აღილე ცხედარი შენი და წარვედ სახიდ შენდა. განკურნებულმაც აღილო იმ წამსვე თვისი ლოგინი და გამოვიდა წინაშე ყოველთასა, რომ ის დაენახნა განკურნებული და საღი ყველას, ვინც იდგა სახლოთან და დაემოწმებინა ძალი და ძლიერება იესოსი. ერმაც დაამოწმა, რომ მას ამისი მსგავსი არა უნახავს რა. მართლაც და, თუმცა იესომ სნეულება წინადაც განჰკურნა, მაგრამ ცოდვანი არა ვისთვის არ მიუტევებია; ამან გამოიწვია დიდი განცვიფრება ერისა.

13-17. იესო გამობრძანდა სახლიდან და წაბძანდა ზღვისკიდეს; მას უკან გაჰყვა სიმრავლე ერისა, რომელიც ისმენდა მისს მოძღვრებას; აქ ზღვის პირზე იესომ დაინახა ლევიცე აღფეხისა, რომელიც იყო თანამდებობით მეზვერე-ხარკის ამკრები და იჯდა საზვერეზე. იესომ უბრძანა მას: მომდევდი მე, ლევიც აღსდგა და გაჰყვა იესოს. ეს ლევი მზვერე იგივე მატთე მეზვერეა, რომლის შესახებაც მოგვითხრობს მატთეს სახარება (9, 9,-13).

ცა ყოველთა, და აღიდებდეს ღმერთსა, და იტყოდეს, ვითარ-  
მედ არსადა ესრეთ ვიხილეთ.

13. და კჳალად განვიდა ზღვს კიდესა, და ყოველი ერი  
მოვიდოდა მისა, და მუნ ასწავებდა მათ.

14. და წარვიდოდა, იხილა ლევი აღფესი, მჯდომარც  
საზჳერესა და ჰრკჳა მას: მომდევდი მე, და აღჰსდგა და მის-  
დევდა მას.

15. და იყო ვითარცა ინახით ჰსჯდა იგი სახლსა  
შინა მისსა და მრავალნი მეზჳერენი და ცოდვლნი ჰსხდეს  
იესოსთანა და მოწაფეთა მისთა თანა, რამეთუ იყჳნეს მუნ  
მრავალნი და მიჰსდევდეს მას.

---

ებრაელებში ჩვეულებად იყო ორის სახელის დარკმევა,  
მაგ. სვიმონ პეტრე, იუდა-თადეოზ და სხვანი. ლევი მეზვერის  
შედგომა იესოსადმი, როგორც სხვა მოციქულებისა, იყო  
სასწაულებრივი.

გახარებულმა და გახწვევებულმა ლევიმ გამართა წვეულე-  
ბა, რომელზედაც მობრძანდა იესო ქრისტეც მოციქულებით  
და მრავალნი მეზვერენი და ცოდვილნი იესოს მოძღვრების  
შოსასმენად. იქ მყოფმა მწიგნობრებმა და ფარისევლებმა გაჰ-  
კიცხეს იესო ცოდვილებთან და მეზვერებთან ერთად პურის  
ჰამისთვის; იესომ გაიგონა ეს და უბრძანა მათ: არა უკმს ცო-  
ვხაღთა მკუწხაღი, არამედ სნეუღთა, არა მოკედ წოდებად მართა-  
ღთა, არამედ ცოდვღთა სინანუღად. აქ ცოცხლებად და საღებად  
უგულისხმებიან ფარისევლები არა იმიტომ, რომ ისინი ნამ-  
ღვილად მართალნი და საღნი იყვნენ სარწმუნოებით, არამედ  
იმიტომ, რომ თვითონ მიაჩნდათ თავიანთი თავი მართლებად;  
ინეულებად და ცოდვილებად კი იგულისხმებიან ყველანი,  
რომლებსაც შეგნებული აქვთ ცოდვიანობა თვისი წინაშე  
ღვთისა და მზად არიან ცოდვები მოინანონ. არა სჭირდებათ  
კურნალი და ცოდვათა შენდობა ფარისევლებს, რომლებსაც  
თავი მართლებად და ღირსებად მიაჩნიათ, ამიტომ ქრისტე

რამეთუ ესრეთ ჰზრახუნ გულთა შინა მათთა, და ჰრქტა მათ: რასა მაგას ჰზრახავთ გულთა შინა თქტენთა“.

9. რა უადვილეს არს სიტყუად განრლტეულისა ამის: მიგეტვენენ ცოდუანი შენნი, ანუ თქმად: აღჰსდევ, აღილდე ცხედარი შენი და ვილოდე“?

10. ხოლო რათა უწყოდეთ, რამეთუ კელმწიფებაჲ აქტს ძესა კაცისასა ქტეყანასა ზედა მიტევებად ცოდუათა. ჰრქტა განრლტეულისა მას:

11. შენ გეტყვ აღჰსდევ და აღილდე ცხედარი შენი, და წარვედ სახიდ შენდა.

12. და მეყტსეულად აღჰსდგა იგი, და აღილო ცხედარი თჳს და გამოვიდა წინაშე ყოველთასა, ვითარმედ განუკრდებოდ.

ბისა და, უკვე ცოდვებ შენდობილს და მიტევებულს განრლტეულს უბრძნა აღჰსდევ და აღილდე ცხედარი შენი და წარვედ სახიდ შენდა. განკურნებულმაჲ აღილო იმ წამსვე თვისი ლოგანი და გამოვიდა წინაშე ყოველთასა, რომ ის დაენახნა განკურნებული და საღი ყველას, ვინც იდგა სახლთან და დაემოწმებინა ძალი და ძლიერება იესოსი. ერმაჲ დაამოწმა, რომ მას ამისი მსგავსი არა უნახავს რა. მართლაჲ და, თუმცა იესომ სნეულება წინადაც განჰკურნა, მაგრამ ცოდვანი არა ვისთვის არ მიუტევებია; ამან გამოიწვია დიდი განცვიფრება ერისა.

13-17. იესო გამობრძანდა სახლიდან და წაბძანდა ზღვისკიდეს; მას უკან გაჰყვა სიმრავლე ერისა, რომელიც ისმენდა მისს მოძღვრებას; აქ ზღვის პირზე იესომ დაინახა ლევიცე აღფეზისა, რომელიც იყო თანამდებობით მეზვერე-ხარკის ამკრები და იჯდა საზვერეზე. იესომ უბრძანა მას: მომდევდი შენ ლევიც აღსდგა და გაჰყვა იესოს. ეს ლევი მეზვერე იგივე მატთე მეზვერეა, რომლის შესახებაჲც მოგვითხრობს მატთეს სახარება (9, 9,-13).

ცა ყოველთა, და აღიდებდეს ღმერთსა, და იტყოდეს, ვითარ-  
მედ არსადა ესრეთ ვიხილეთ.

13. და კჳალად განვიდა ზღვს კიდესა, და ყოველი ერი  
მოვიდოდა მისა, და მუნ ასწავებდა მათ.

14. და წარვიდოდა, იხილა ლევი აღფესი, მჯდომარც  
საზჳერესა და ჰრკჳა მას: მომდევდი მე, და აღჰსდგა და მის-  
დევდა მას.

15. და იყო ვითარცა ინახით ჰსჯდა იგი სახლსა  
შინა მისსა და მრავალნი მეზჳერენი და ცოდვლნი ჰსხდეს  
იესოსთანა და მოწაფეთა მისთა თანა, რამეთუ იყჳნეს მუნ  
მრავალნი და მიჰსდევდეს მას.

---

ებრაელებში ჩვეულებად იყო ორის სახელის დარკმევა,  
მაგ. სვიმონ პეტრე, იუდა-თადეოზ და სხვანი. ლევი მეზვერის  
შედგომა იესოსადმი, როგორც სხვა მოციქულებისა, იყო  
სასწაულებრივი.

გახარებულმა და გახწევებულმა ლევიმ გამართა წვეულე-  
ბა, რომელზედაც მობრძანდა იესო ქრისტეც მოციქულებით  
და მრავალნი მეზვერენი და ცოდვილნი იესოს მოძღვრების  
მოსასმენად. იქ მყოფმა მწიგნობრებმა და ფარისევლებმა გაჰ-  
კიცხეს იესო ცოდვილებთან და მეზვერებთან ერთად ჰურის  
ქამისთვის; იესომ გაიგონა ეს და უბრძანა მათ: არა უკმს ცო-  
ცხალთა მკუჩხალი, არამედ სწეულთა, არა მოკვდ წოდებად მართა-  
ლთა, არამედ ცოდვლთა სინანულად. აქ ცოცხლებად და სადებად  
იგულისხმებიან ფარისევლები არა იმიტომ, რომ ისინი ნამ-  
დვილად მართალნი და სადნი იყვნენ სარწმუნოებით, არამედ  
იმით, რომ თვითონ მიაჩნდათ თავიანთი თავი მართლებად;  
წვეულებად და ცოდვილებად კი იგულისხმებიან ყველანი,  
რომლებსაც შეგნებული აქვთ ცოდვიანობა თვისი წინაშე  
ღვთისა და მზად არიან ცოდვები მოინანონ. არა სჭირდებათ  
სკურნალი და ცოდვათა შენდობა ფარისევლებს, რომლებსაც  
თავი მართლებად და ღირსებად მიაჩნიათ, ამიტომ ქრისტე

16. და მწიგნობართა მათ და ფარისეველთა, ვითარცა იხილეს იგი, რამეთუ მეზჭერეთა და ცოდვილთა თანა ჰსკამს, ეტყოდეს მოწაფეთა მისთა: რაჲსათჳს მეზჭერეთა და ცოდვლთა თანა ჰსკამს და ჰსჭამს?

17 და ესმა ესე იესოს და ჰრქჳთ მათ: არა უკმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა, არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვლთა სინანულად.

18. და იყუნეს მოწაფენი იოანესნი და ფარისეველთანი მარხუასა შინა; და მოვიდეს მისა და ჰრქჳს მას: რაჲსათჳს მოწაფენი იოანესნი და ფარისეველთანი იმარხუენ, და მოწაფენი შენნი არა იმარხუენ?

19. ჰრქჳთ მათ იესო: ვერ კელეწიფების ძეთა სიძისათა, ვიდრე სიძე იგი მათთანა არს, მარხუად,

20. არამედ მოვლენან დღენი, ოდეს ამაღლდეს სიძე იგი მათგან, და მაშინ იმარხვდენ მას დღესა შინა.

არც მიდის მათთან. ექიმი, მკურნალი უნდა იჯდეს სნეულთან, ამიტომ ქრისტეც მიდის მათთან, რომლებსაც შეგნებულნი აქვთ თვისი ცოდვიანობა და სურთ განკურნება სნეულებათაგან თვისთა.

18-22. იოანე ნათლისმცემლის მოწაფენი და ფარისევლები მარხულობდნენ; ნათლისმცემელმა, როგორც სასტიკმა მმარხველმა, ასწავლა მოწაფეებს მარხულობა; ეს მარხულობა მათ უშეტესად განაძლიერეს გლოვით იოანეს შეპყრობისა გამო; ფარისევლები კი ზოგჯერ კვირაში ორჯერ მარხულობდნენ ვარდა წესად დადებულ ჩვეულებრივ მარხვათა. ამათ გაუკვირდათ, რომ იესოს მოწაფენი არა მარხულობდნენ და ჰკითხეს მას: რაჲსათჳს მოწაფენი შენნი არა იმარხუენ? მაცხოვრის პასუხიდან სჩანს, რომ დრო მისის ყოფნისა მოციქულებთან არის დრო მათთვის სიხარულისა და შვებისა, ამიტომ მათ ჯერ—ჯერობით არც უნდა იმარხულონ და არ უნდა იგლოვონ. მოციქულები არ არიან განმტკიცებულნი ჯეროვ

21. არავინ სადგმელი ახალი დაადგის სამოსელსა ძქელსა, უკეთუ არა, მოაპის მისგან ცოცხალიცა იგი ახალმან მან ძქელისა მის, და უძვრესად განაპის.

22. და არავინ შთაასხის ღვინო ახალი თხიერთა ძქელთა, რათა არა განჰხეთქნეს ღვინომან ახალმან თხიერი იგი და ღვინო დაითხიოს, და თხიერნი წაჰკრსწყმდენ; არამედ ღვინო ახალი, თხიერთა ახალთა შთაასხიან.

23. და იყო, ვითრ იგი თანაწარვიდოდა შაბათსა ყანე-ბისაგან, და მოწათფეთა მისთა იწყეს გზასა სლჭად, და მუსრჭად თავსა კუვილისასა.

24. ხოლო ფარისეველნი იგი ეტყოდეს მას: იხილე რასა ჰზმენ მოწათფენი შენნი შაბათსა შინა, რომელი არა ჯერ არს ყოფად?

25. ხოლო იესო ჰრქჳ მათ: არა სადა აღმოგიკითხავსთა, რაჲ იგი ჰყო დავით, რაჲამს იგი უკმდა და შეეჰშია მას და მისთანათა?

ნად და ამიტომაც მათთვის ჯერ საჭიროა მოწყალედ და ღმობიერად მოპყრობა, ისინი ჯერ განახლებულნი არ არიან გულით, ამიტომ მათ ჯერ-ჯერობით არც უნდა დაედვათ კისერზე მძიმე უღელი მარხვისა.

23.27. იესომ და მოციქულებმა გაიარეს ყანებით და-თესილს მინდვრებზე; მოციქულებმა იწყეს გზაზე თავთავის გლეჯა, სრესა და ჭამა; რადგანაც შაბათი იყო, და მოციქულთა მოქმედება მოაგონებდა მკას და ლეწვას, ე. ი. მუშაობას, რაც აღკრძალული იყო შაბათ დღეს, ფარისევლებმა წააყვედრეს იესო ქრისტეს, რომ მისი მოციქულები არღვევენ შაბათს. იესომ უჩვენა მათ ძველი აღთქმიდან მაგალითი დავით მეფისა, რომელმაც აბიათარ მღვლელთ-მთაერის დროს შესჭამა პური შესაწირავთან, რომელთა ჭამის ნებაც არა ჰქონდა. მეფემ სჭამა მიტომ, რომ ჰშიოდა თვითონ იმასაც და მხლებლებსაც. ასევე ექცევიან მოციქულები. აქ მარკოზ მახა-

26. ვითარ იგი შევიდა სახლსა ღმრთისასა, აბიათარ მღვდელთ-მთავრისა ზე და პურნი იგი შესაწირავთანი, შესკმნა და ჰსცა მისთანათაჲცა, რომელთა არა ჯერ არს ქამად, გარნა მღვდელთა ხოლო?

27. და ეტყოდა მათ: შაბათი კაცისათჳს დაებადა, და არა თუ კაცი შაბათვისათჳს, ვინაჲცა უფალ არს ძე კაცისა შაბათისაჲცა.

---

რებელი მღვდელთ-მთავრად იხსენებს აბიათარს, ნამღვილად კი მაშინ მღვდელთ-მთავრობდა აბიმელექი, მამა აბიათარისა. რადგანიც აბიათარი იყო შვილი აბიმელექისა, მემკვიდრე მისის თენამდებობისა და ეხმარებოდა თანამდებობის აღსრულებაში, ამიტომაც გასაკვირველი არ არის, რომ ერი მამის სიცოცხლეშივე მღვდელთ-მთავრად უწოდებდა. მარკოზ მახარებელს აქვს აქ მოყვანილი მაცხოვრის სიტყვები: შაბათი კაცისათჳს დაებადა, და არა თუ კაცი შაბათისათჳს. ეს იმას ნიშნავს, რომ შაბათი არის გაჩენილი სახმარად კაცისა, მის მსახურად, და არა მიტომ რომ დაიმონავოს და იმსახუროს მან კაცი. მაშასადამე კაცს შეუძლიან მოიხმაროს შაბათი თანახმად თვისის სურვილისა და ნებისა. იესო ქრისტე არის უფალი შაბათისა და ამიტომ მას შეუძლიან მოციქულებს მისცეს ნება შაბათის დარღვევისა, როცა საჭირო იქნება.

თავი მეხამე.

1. და მერმე შევიდა შესაკრებელსა: და იყო მუნ კაცი, რომელსა ხელი განკმელ ედგა.

### III

განკურნება ხელგამხმარის კაცისა (1-5). ბოროტი განზრახვა იესოს წინააღმდეგ და განსვლა მისი მოციქულებთან ერთად (6-12). აღრჩევა 12 მოწაფეთა (13-19). იესოს პასუხი ეშმაკთა განდევნის შესახებ; გმობა სულსა წმიდისა (20-30) იესო ქრისტეს დედა და ძმები (31-35).

2. და უმზირდეს მას, უკეთუ შაბათსა განჰკურნოს იგი, ჩათა შეასმინონ იგი.

3. და მას ჟამსა ჰრქვა იესო კაცსა მას, რომელსა ელი განკმელ ედგა: აღჰსდევ და წარმოჰსდევ შორის.

4. და ჰრქვა მათ იესო: ჯერ არსა შაბათსა შინა კეთილსა საქმე, ანუ ბოროტისა? სულისა ცხოვნება, ანუ მოკლვა? ოლო იგინი სდუმნეს.

5. და მიმოიხილა მათდა რისხვთ, და მწუხარედ სიბრმიათვს გულთა მათთასა, და ჰრქვა კაცსა მას: განირთხ კელი მენი, და მან განირთხა და კჳალად მოევო კელი იგი, ვითარცა ერთი იგი,

---

1-6. იესო ქრისტე კვალად შევიდა შესაკრებელში შაბათდღეს. იქ იყო ერთი ხელ გამხმარი კაცი, იქვე იყვნენ ფარისევლებიც, რომლებიც თვალყურს ადევნებენ იესო ქრისტეს, ანჰკურნებდა თუ არა შაბათ დღეს ამ სნეულს კაცს; ეს ფარისევლებს იმისთვის უნდოდათ რომ იესოსთვის ბრალი დაეღოთ შაბათის დარღვევაზე. იესომ უბრძანა ხელგამხმარს კაცს: აღჰსდევ და წარმოჰსდევ შორის და ჰკითხა იქ მყოფ ფარისევლებს: ჯერ არს შაბათსა შინა კეთილისა საქმე ანუ ბოროტისა? სულისა ცხოვნება ანუ მოკლვა? თუ კაცი ჰხედავს მოყვრის გაქარებულს მდგომარეობას რაიმე საქმეში და არ ეხმარება მას, ის ხელს უწყობს მისს დაღუპვას, მისს წარწყმედას და, ამგვარად, ბოროტებას სჩადის. ამიტომაც ჰკითხავს უფალი ფარისევლებს, მ უბედურს კაცს უნდა შეუშუბუქდეს თუ არა მდგომარეობა? ფარისევლებმა, რასაკვირველია, იცოდნენ, რომ მადლი ჰქნებოდა ამ უბედურის კაცის განთავისუფლება ტანჯვისაგან, იუხედავად შაბათისა, მაგრამ, რადგანაც მათ სულ უკუღმართი შეხედულობა ჰქონდათ შაბათზე, ამიტომ სდუმდნენ და რაფერი პასუხი არ მისცეს იესოს; იესო ქრისტემ მიმოიხედა იხსევით და დაინახა, რომ ფარისევლები გაფიცებულნი იყვნენ

6. და ვითარცა გამოვიდეს მიერ ფარისეველნი იგი იროდიანთა თანა, და ზრახუაჲ ჰყუეს მისთვის, რათა წარჰსწყმიდო იგი.

7. ხოლო იესო მოწაფითურთ განეშორა მათგან და მოვიდა ზღვს კიდელ, და მრავალი ერი შეუდგა მას გალილეათ და ურისტანით,

8. იერუსალიმით, იღუმიათ, წიალიორდანი, და ტუროსით კერძო და სიდონით, ესმა მრავალსა სიმრავლესა, რადენსა იგი იქმოდა და მოვიდეს მისა.

9. და ჰრქჳა მოწაფეთა თვსთა, რათა ნავი განუმზადო მას ერისა მისთვის, რათა არა შეაიწრონ იგი

10. რამეთუ მრავალთა განჰკურნებდა, ვითარმედ ზედ დაესხმოდა მას ერი იგი, რათა შეოდენ-ებდნენ, და რადენთა აქჳნდა უძლურებაჲ და შეეხნეს, განიკურნებოდეს.

11. და სულეები იგი არაწმიდა, ჰხედვიდეს მას და შეუბრდებოდეს, ჰღაღადებდეს და იტყოდეს: შენ ხარ ძე ღმრთის

12. და ფრიად შეჰრისხნა მათ იესო, რათა არა გამოაცხადონ იგი.

მაზედ, მათი გული არა გრძნობდა თვისს ცოდვიანობას და ამიტომაც, უბედურობა და ტანჯვა ამ კაცისა სრულიადაც არ აწუხებდა მათ. იესომ უბრძანა ხელ გამხმარს კაცს: განიკრთხ კელა შენი, და მან განიკრთხა და მოკვდა ხელი იგი, ვითარცა ერთი იგი. ფარისევლები შერცხვენილნი გამოვიდნენ და იროდიანტიპას მოჰხრეებთან-იროდანიებთან ერთად შეითქვენენ რომ წარეწყმიდნათ იესო ქრისტე

7-8. იესო ქრისტე მოწაფეებით წაბრძანდა ზღვის პირს მას მისდევდა დიდი სიმრავლე ერისა ურისტანიდან, გალილეიდან, იერუსალიმიდან, იღუმეიდან, იორდანის გაღმა პერიდან, ტვიროსიდან და სიდონიდან.

9-12. იესომ უბრძანა მოციქულებს მოემზადებინათ მისთვის ნავი, რადგანაც ერი ძალიან ავიწროებდა მას და

13. და აღვიდა მთასა და მოუწოდა, რომელთა უნდა ეს და მოვიდეს მისა.

14. და ჰყენა ათ ორ-მეტნი იგი, რათა იყუნენ მისთანა და არაელინნეს იგინი ქადაგებად.

15. და რათა აქუნდეს კელმწიფებაჲ განსხმად ეშმაკთა.

16. და დასდჳა სახელები, სვმონს პეტრე.

17. და იაკობ ზებედესი და იოანს, ძმა იაკობისი და აჰსდჳა მათ სახელები ბანერგეს, რომელ არს, ძენი ქუხილისანი.

18. ანდრეა და ფილიპპე, ბართლომე და მატთეოს, თო-  
ა და იაკობ ალფესი, თადეოს და სვმონ კანანელი,

19. და იუდა ისკარიოტელი, რომელმანცა მიჰსცა იგი.

20. და მოვიდეს სახლსა და შეჰკრბა კჳალად მისა ერი, აღრემდის ვერ კელმწიფებოდა მათ ვერცალა პურისა ჳამად.

ავიდან მოძღვრა უფრო აღვილი იყო. ერში ბევრი სნეუ-  
რიც ერია. ყველა სნეულს უნდოდა შეხებოდა იესოს და  
ინც კი შეეხო მას, ყველა განიკურნა <sup>1)</sup>.

არაწმიდა სულები, ემორჩილებოდნენ მას, აღიარებდნენ  
ედ ღვთისად, მაგრამ იესო ურახდებოდა მათ, რათა არა გა-  
აფხადნ იგი.

13-19. შემდეგ ამისა, იესო ქრისტე აღვიდა მთაზე და  
ქ მყოფ ერისგან მოუწოდა თორმეტს კაცს, რომლებიც უნდა  
ყოფილიყვნენ მასთან და ექადგნათ შისი სწავლა-მოძღვრება და  
ისცა მათ უფლება ბოროტ სულთა განსხმისა კაცთაგან. იე-  
ომ სახელებიც უწოდა ამ თორმეტს ამორჩეულს კაცებს,  
ივმონს უწოდა პეტრე; პეტრე ქათულად ნიშნავს კლდეს;  
ეს სახელი იესომ უწინაც უწოდა პეტრეს, პირველად მოწო-

<sup>1)</sup> ქართულს სახარებაში 10 მუხლს მიმეტებული აქვს შედარებით  
ზუსულთან და სლავიანურთან სიტყვები: რაოდენთა აქუნდა უძღურებაჲ  
და შეეხნეს, განიკურნებოდეს.

21. და ესმა მის კერძოსათა, და გამოვიდეს შეპყრობა მისა, რამეთუ იტყოდეს ვითარმედ განკრთომილ არს.

22. და მწიგნობარნი იგი, რომელნი იერუსალიმით შთ მოსრულ იყვნეს, იტყოდეს, ვითარმედ ბელზებული მისთა არს და მთავრითა ეშმაკთაჲთა განასხამს ეშმაკთა.

23. და მოუწოდა მათ და იგავით ეტყოდა; ვითრ კელეწიფების ეშმაკსა ეშმაკისა განხლად.

24. და უკეთუ მეუფება მეუფებასა განეფლთას, ვე კელემწიფების დამტკიცებად მეუფება იგი.

25. და უკეთუ სახლი სახლსა განეფლთას, ვერ კელეწიფების სახლი იგი დამტკიცებად,

26. და უკეთუ ეშმაკი თავსა ზედა თვისსა აღდგომი არს, და განყოფილ არს, ვერ კელეწიფების დამტკიცებად არამედ აღსასრული აქჲს.

27. და არცა ვის კელეწიფების შესლჳად სახლსა ძლერისასა და ჭურჭელი მისი გამოტყუენვად, არათუ პირჳელ: ძლიერი იგი შეჰკრას და მაშინლა სახლი მისი გამოჰსტყუენო

---

დების დროსვე, მაგრამ მარკოზ მახარებელი აქაც იმეორებ მოციქული ამ ორსავე სახელს ატარებდა. იაკობს და იოანე ზებედეს ძეთა, იესომ უწოდა სახელად ბანერგეს, — ძენი ქუხილისანი. მახარებელი არ განმარტებს, რისთვის უწოდა იესო მათ ეს სახელი, მაგრამ ლუკა მახარებელი (9, 54) მოგვითხრობს რომ ერთხელ ამ მოციქულებმა გამოიჩინეს გულ-ფიცხლოზ აჩქარება და მრისხანება და ამიტომ ეწოდათ მათ სახელად „ძენი ქუხილისანი“

20-21. იესო ქრისტე მობრძანდა კაპრნაუმში სახლში მას ისე მრავალი ერი შემოეხვია, რომ შეუძლებელი იყო მისი ჰქმნათ. იესოს მტრებმა გაავრცელეს ხმა, რომ იგი გაკრთობილია ე. ი. შეშინებულია და თავისს ჰქუა აღარ არისო. ამისთანა ხმების გავრცელება ხელსაყრელი იქნა იესოს მტერთათვის. მივიდნენ იესოს ნათესავებიც-დედა

28. ამინ გეტყვი თქვენ, ვითარმედ ყოველივე მიეტეოს ა კაცთა ცოდნანი და გმობანი, რაოდენსაცა ჰგმობდენ.

29. ხოლო რომელმან ჰსთქჳს გმობაჲ სულისა წმიდის არა აქვს მიტევებაჲ უკუნისამდე, არამედ თანამდებ არს საუკუნოჲსა სასჯელისა.

30. რაზეთუ იტყოდეს, ვითარმედ სული არაწმინდა არს თანა.

31. მოვიდეს უკუე ძმანი მისნი და დედა მისი და გარეჰსდგეს და მოუვლინეს მას და გამოჰხადოდეს.

32. და ჰსხდა გარემო მისა ერი მრავალი და ვითარცა ქჳს მას: აჰა დედა შენი და ძმანი შენნი გარე ჰსდგანან გეძიებენ შენ.

ბი და უნდოდათ იესოს მოშორება ერისგან, რომ არ შემვეოდა რაიმე უსიამოვნო ამბავი.

22-30. ფარისეველები კი ამბობდნენ, რომ იესო ეშმაკთა ავრის ბელზებულისგან არის შეპყრობილი და მისის ძალით ანახამს ეშმაკთაო. იესომ მოუწოდა მათ, ამხილა ივინი. იერება ოჯახისა და სახელმწიფოსი მტკიცეა მხოლოდ მაშინ, იცა მათში სუფევს მშვიდობა და თანახმობა წევრთა შორის. ელო თუ სახელმწიფოში ან ოჯახში თავი იჩინა უთანხმოება, მაშინ ის დაღუპულია და დარღვეული. ეშმაკი სტაჯავს ცს, მაგრამ თუ იგივე ეშმაკი იესოს აძლევს ძალს ეშმაკთა წსხმისას, მაშასადამე ეშმაკნი სჩადიან ერთმანეთის საწინააღმდეგო საქმეს და შეუძლებელია, რომ მეფობა ამ ეშმაკისა იკიცედ იდგეს, მოსულა მაშ დრო ეშმაკთა სამეფოს აღსასულისა. იესოს არა სურს იყოს ეშმაკის თანამოზიარე, რიკით ის, როგორც ძლიერი ეშმაკზე, სძლევს მისს სამეფოს, შეჰკრავს მას. კაცს მიეტევება ყოველი ცოდვა და გმობა, გარდა სულის წმიდის გმობისა. (სახ. მატთ. 12, 31).

31-35. იესოს მოახსენეს მოსვლა მისის დედისა და ძმანა. ეს ძმები იყვნენ იესოს დედაშვილები, ან იოსებ ხუროს

33. მიუგო იესო და პრეტა: ვინ არს დედა ჩემი, ძმანი ჩემნი?

34. და მიმოიხილა გარემის მისა მოწათფეთა თვსთა დომარეთად და პრეტა: აჰა დედა ჩემი და ძმანი ჩემნი;

35. რამეთუ რომელმან ჰყოს ნებაჲ ღრმთისაჲ ესე ძმა ჩემი და დაჲ და დედა ჩემი

### თავი მეოთხე.

1. მერმე კჳალად იწყო სწავლად ზღკს-კიდესა, და კრბა მისა ერი მრავალი, ვიდრე შესლჳადმდე მისა ნავად დაჰსჯდა იგი ნავსა მას ზღჳასა შინა; და ყოველი იგი ზღკს-კიდესა ქტეყანასა ზედა ჰსდგა.

2. და ასწავებდა მათ იგავით ფრიად, და ეტყოდა სწავლასა მას მისსა.

3. ისმინეთ ესე: გამოვიდა მთესვარი თესჳად.

ძენი პირველის ცოლისგან. იესომ ბრძანა, რომ მისნი ძმ და დედა ისინი არიან, რომლებიც ჰყოფენ მისს ნებას. იესო ღრმად და ძლიერ უყვარდა თავისი დედა და ჯვარზე კი ბულიც კი ჰზრუნავდა მაზედ; თუმცა ნათესაური კავშირი ძლიერია, მაგრამ არა ნაკლებ ძლიერია კავშირი სულიერი და ზნეობრივი. ერთობა ქრიატესთან დამოკიდებულია ხორციელ, არამედ სულიერს კავშირზე.

### IV

იგავებით სწავლა ცათა სასუფეველის შესახებ (1-9). ზეზი იგავებით სწავლისა და განმარტება მთესვარის იგავ (10-20). მოკლე წარმონათქვამები შესახებ სანთლისა, საწულიისა, თესლისა, მდოგვის მარცვლისა (20-34). ქარიშხლად გაყუჩება ზღვაზე (35-41.)

1-9. იესო ქრისტე კვალად მიბრძანდა ზღვის ნაპირ

4. და იყო თესვასა მას მისსა, რომელიმე დაჰვარდა გზაზედა, მოვიდეს მფრინჭელნი და შეჰსკამეს იგი.

5. და სხუა დაჰვარდა კლდოვანსა ზედა, სადა არა იყო ფრიად, და მეყჩესეულად აღმოჰსცენდა, და რამეთუ არა სიღრმე მიწისა,

6. ვითარცა მზე აღმოჰკდა და დასცხა, და რამეთუ ძირნი დაეზნეს, განჰხმა.

7. და სხუა დაჰვარდა ეკალთა შორის და აღმოჰსცენდეს ღნი და შეაშთჭეს იგი და ნაყოფი ვერ გამოიღო.

8. და სხუა დაჰვარდა ქუეყანასა კეთილსა, და მოჰსცემნაყოფსა, აღმოვიდოდა და აღორძნდებოდა და მოაქუნდა დაათეული, სამოცეული და ასეული.

9. და ეტყოდა: რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ.

10. და ოდეს იყო იგი თვსაგან, ჰკითხეს მას მოწაფეთათა: რა არს იგავი ესე?

11. ხოლო იგი ეტყოდა მათ: თქუნდა მოცემულ არს ობად საიდუმლოჲ იგი სასუფეველისა ღმრთისაჲ, ხოლო ეფეთა მათ ყოველივე იგავით სიტყუად.

---

ბრძანდა ნავში რომ უფრო ადვილად ექადაგნა მრავლად სულის ერისთვის და ასწავებდა მათ იგავით. მარკოზ მახაბელს მოჰყავს მარტო სამი იგავი იესოსი. პირველი იგავი ესვარისა, მოთხრობილი მარკოზ მახარებლის მიერ არის ჰეორება იმ იგავისა, რომელიც მოთხრობილი აქვს მატთე ხარებელს (თავი 13). მთესვარი გამოვიდა თესვად და როსთესავდა ზოგი მარცვალი დაეცა გზის პირად და ის მფნველებმა აჰკენკეს; ზოგი მარცვალი დაეცა რიყიანს ადგილდა აღმოსცენდა, მაგრამ რადგანაც იმ ადგილზე ცოტაა იყო, ძირი არ გაუკეთებია და ისე გახმა. სხვა მარცვალი კარდა ეკლებში, ამოვიდა ეკალი, დასჩაგრა მცენარე და ოტომ არც მას გამოუღია ნაყოფი; სხვა მარცვალი დაეცა

25. რამეთუ რომელსა აქუნდეს მიეცეს მას, და რომელსა არა აქუს, და რომელსა იგი აქუნდეს, მოვევლოს მას.

26. და ეტყოდა მათ: ესრეთ არს სასუფეველი ღმრთისა ვითარცა იგი კაცმან დაჰსთესის თესლი ქმეყანასა.

27. და დაიძინის და აღჰსდგის ღამე და დღე და თესლი იგი აღმოჰსცენდის და განოჩნდებინ, ვითარ იგი, მან არა უწყინ

28. რამეთუ თვისით თავით ქმეყანა ნაყოფსა გამოიღებს პირველად წმელი, მერმე თავი, მაშინლა საესე იფქლთავსა მას შინა.

29. და რაჟამს მოჰსცის ნაყოფი, მეყუსეულად მოავლინის მანგალი, რამეთუ მოიწია მკა.

30. და ეტყოდა: რასა ვამგზავსო სასუფეველი ღმრთისა ანუ რომელი იგავი მოვილოთ მისთვის?

31. ვითარცა მდოგვსა მარცჳალი, რომელი დაეთესი

გულით, სიყვარულით და სიხარულით ღებულობენ სიტყვად და მოაქვთ კიდევ ნაყოფი.

21-23. როგორც ანთებული სანთელი არ დაიდგმის ხვიშირის, ან ცხედრის ქვეშ, საიღანაც მას განათება არ შეუძლიან, არამედ სდგამენ სასანთლეზე, რომ გაუნათოს ყველას იქ მყოფს, ისევე სწავლა მაცხოვრისა უნდა ქადაგებულ იქნას ყველასთვის გასაგებად, რომ მან ყველანი გაანათლოს. ეს სწავლა არ უნდა დარჩეს საიდუმლოდ, ის გამოცხადდება ყველასთვის და ყოველგან.

24-25. მოციქულები ყურადღებით უნდა მოეპყრნენ მაცხოვრის სიტყვებს, და ღმერთი უმეტესად მიანიჭებთ მათ მადლსა და ცოდნას, ხოლო თუ უყურადღებოდ მოეპყრნენ, მაშინ დაჰკარგვენ იმასაც, რაც იკიან.

26-29. შემდეგ მაცხოვარმა ბრძანა იგავი თესლისა რომლისაც კაცი სთესავს მიწოდორზე. დათესვის შემდეგ მთესვარი სცხოვრობს ჩვეულებრივად, იძინებს, იღვიძებს. თესლი

ქეყანასა, რამეთუ უმცირეს არს იგი ყოველთა თესლთა, ომელნი არიან ქქეყანასა ზედა;

32. და ოდეს დაეთესის და აღმოჰკდის და იქმნის იგი უფლოს ყოველთა მხალთა და გამოიხუნის რტონი დიდ-დიდნი, თარმელ შესაძლებელ არიანცა ქქეშე საგრილსა მისსა მფრინელთა ცისათა დადგომად.

33. და ესე ვითარითა იგავითა ეტყოდა მათ სიტყუასა, თარცა შემძლებელ იყუნეს იგინი სმენად.

34. და თვნიერ იგავისა არა რას ეტყოდა მათ: ხოლო ვსაგან მოწაფეთა გამოუთარგმანის იგი ყოველი.

35. მას დღესა შინა, ვითარცა შემწუხრდა, ჰრქუა მათ აღვჰკვედეთ მიერ-კერძო.

36. და დაუტევეს ერი იგი და წარიყუანეს იგი მოწაფეთა, ვითარცა იყო ნავსა მას შინა და სხუცა ნავები, რომლი იყო მისთანა.

37. და იყო მეყუხეულად ბორბალი ქარისა დიდი, და ელვასა მას შთაასხმიდა ნავსა, ვითარმედ აღცა—ივსებოდა იგი იგი.

---

ამოდის, ღორძინდება, მოაქვს ნაყოფი, რომელსაც პატონი იმკის. ასევეა ცათა სასუფეველიც. ამ სასუფეველის ესლს მოციქულები ქადაგებით სთესვენ კაცთა გულში; იგი ია რჩება უნაყოფოდ, ღორძინდება, გამოაქვს ნაყოფი და იფდება ღმერთთან ნეტარის ცხოვრებისათვის.

30-34. მაცხოვარმა ბრძანა კვალად იგავი მდოგვის მარვლისა. ეს მარცვალი მცირეა, მაგრამ მისგან ამოდის დიდი ვენარე, რომლის ჩრდილ ქვეშაც მფრინველნიც კი ჰპოვენ საგრილს. ასევეა ცათა სასუფეველიც (მატთ. 13, 31-2) ასე, იგავებით ესაუბრებოდა იესო ქრისტე ერს, უიგავოდ არ ესაუბრებოდა მათ. როცა მარტოკა ბრძანდებოდა ხოლო მოციქულებთან, იესო მათაც უხსნიდა ამ იგავებს, რადგაც ისინიც მალე უნდა გამოსულიყვნენ საქადაგებლად.

38. და თავადი იყო პირით კერძო თავსა მის ნავისას და ეძინა, და განაღძებდეს მას და ეტყოდეს: მოძღუარ, არ ჰზრუნავ, რამეთუ წარვჰსწყმდებით?

39. და აღჰსდგა და შეჰპრისხნა ქარსა მას და ზღუთასა და ჰრქჳთა: დაჰსდუმენ და პირი დაიყავ. და დაჰსცხრა ქარი იგი და იქმნა დაყუდება დიდ.

40. და ჰრქჳთ მათ: რასა ესოდენ მოშიშ ხართ? ვითა არა გაქჳს სარწმუნოებაჲ?

41. და შეეშინა მათ შიშითა დიდითა და იტყოდეს ურთიერთას: ვინმე არს ესე, რამეთუ ქარნიცა და ზღუთაცა ერჩიან მას.

---

35-41. იმ საღამოს იესომ უბრძანა მოციქულებს წიად ვჰქედეთ მიერ კერძო. მოციქულებმაც აღასრულეს ბრძანება იესოსი და ნავით გაემართნენ ზღვის გაღმა ნაპირისაკენ. მაგსხვებიც იახლნენ ნავეებით. ერს, რომელიც გატაცებული იყო იესოს ქადაგებით, არ უნდოდა მოშორებოდა მას, მან ისარგებლა იქვე მდგომი ნავეებით და წაჰყვა იესოს. ზღვაზე ასტყდს საშინელი ღელვა, იესოს ეძინა ნავის თავზე: თავზარ დაცემულმა მოციქულებმა შეჰძალადეს მას: მოძღუარ, არა ჰზრუნავ რამეთუ წარვჰსწყმდებით? იესომ უბრძანა ზღვას და ქარს: დასდუმენ, პირი დაიყავ! და ქარი ჩავარდა, ღელვა დასცხრა ბუნების უფლის ბრძანებით, იქმნა დაყუდება დიდი. ყველა ამ სასწაულის მნახველს შეეშინა შიშითა დიდითა. პირველად ისინი შეჰპრობილ იყვნენ შიშით ქარიშხლის და ზღვის ღელვისა გამო, ეხლა კი ისინი შეიცვა შიშმა მაცხოვრის სასწაულთ მოქმედებისა გამო. ამ შიშს შეუერთდა გაკვირება და ყველანი ამბობდნენ: ვინმე არს ესე, რამეთუ ქარნიცა და ზღუთაცა ერჩიან მას? ეს იყო ძე ღვთისა, აღთქმული მაცხოვარი კაცთა ნათესავისა.

---

## თავი მეხუთე.

1. და მოვიდეს წიაღ-ზღუასა მას, სოფელსა მას ლადა-ანელთასა.

2. და ვითარცა გამოვიდა იგი ნავით, მეყუხეულად მო-ბვოდა მას საფლავებისაგან კაცი, რომლისათანა იყო არა-სიდა სული;

3. რომელსა საყოფლადვე აქტუნდა საფლავები და არცა-ა ჯაჭუებითა ვის კელეწიფა შეკრუად იგი,

4. რამეთუ მრავალ გზის ჯაჭუთა და ბორკილითა შეკ-ულ იყო იგი და განჰხეთქის და შემუსრის და არავის ეძლო ხყენებად მისა;

5. და მარადის ლამე და დღე საფლავებსა და მთათა გა-ე იქცევიან, ჰლალადებნ და დაიკოდნ თავსა თვსსა ლოდითა;

## V

განკურნება ლადარინელ ეშმაკეულისა (1-21). აღდგინება იროსის ასულისა და განკურნება სისხლ-მდინარე დედაკა-ისა (22-43).

1. მარკოზ მახარებლის მოთხრობა ლადარინელ ეშმაკე-ლის განკურნების შესახებ არსებითად ეთანხმება მატთე მა-რებლის მოთხრობას ამავე საგანზე; (მატთ. 8 თ.). იმ ოლქს, დაც იესომ განჰკურნა ეშმაკეული მარკოზ მახარებელი უწო-ებს დადარინეფთა სოფლად, მიტომ რომ აქ იყო სოფელი და-რა; მატთე მახარებელი კი ამ ქვეყანას უწოდებს გერგესე-ლთა სოფლად, მიტომ რომ აქ იყო ქალაქი გერგესაც (მატთ. 28). ორივე ეს ქალაქები ლადარა და გერგესა იყვნენ თ ქალაქის“ რიცხვში და მდებარეობდნენ პერეაში.

2. გადმობრძანდა თუ არა იესო ნავიდან, მას მიეგება ერთი მაკეული კაცი; მატთე მახარებელი იხსენებს ორს ეშმაკეულს.

6. და ვითარცა იხილა მან იესოჲ შორით, მოჰრბიოდ და თაყვანი-ჰსცა.

7 ჰლალადებდა კმითა დიდითა და იტყოდა: რა ჰსძე ჩემი და შენი, იესო, ძეო ღმრთისა მალლისაო? გაფუცებ შე ღმერთსა ნუ მტანჯავ მე.

8. რამეთუ ეტყოდა მას იესო: სული ეგე არაწმიდ განვედ კაცისა მაგისგან.

9. და ჰკითხა მას: რა არის სახელი შენი? და რქჳა მას ლეგეონ არს სახელი ჩემი, რამეთუ მრავალ ვართ.

10. და ევედრებოდა მას ფრიად, რათა არა განასხნე იგინი გარეშე სოფელსა.

11. და იყო მუნკოლტი ღორთა ღიდ-ძალი მთასა გარ მძოვარი.

12. და ევედრებოდეს მას ყოველნი იგი ეშმაკნი და ეტყოდეს: მიმავლინენ ჩჳენ ღორებსა იმას, რათა მათდა შევიდეთ.

მარკოზი კი ერთს. მაგრამ არც ამაშია წინააღმდეგობა და უთანხმობა. უთანხმობა მაშინ იქნებოდა, თუ მარკოზ მახარებელს ეტყოდა, რომ მარტო ერთი ეშმაკეული იყოვო და მეორე კი არ ყოფილაო. უეჭველია, იყო ორი ეშმაკეული, მაგრამ ყურადღება პეტრე მოციქულისა, რომელმაც მოუთხრო მარკოზს ეშმაკეული, მიიპყრა ერთმა უფრო მომეტებულად ეშმაკეულს კაცმა.

3—5. ამ ეშმაკეულს ჰქონდა საშინელი, არა კაცური ძალა. მან ბევრჯელ დაამსხვრია ჯაჭვები და ბორკილები, რომლებითაც მას ჰკრავდნენ და ამიტომ ის დასტოვეს ბედის ანაბრა. ისა სცხოვრებდა კლდეებში გამოკვეთილ საფლავებში, საშინლად ჰყვიროდა და თავს ახლიდა ქვა-კლდეს.

6—8. ბოროტმა სულმა არ მოისურვა დამალვა იესოსგან, ამიტომ რომ შეუძლებელი იყო დაფარვა ყოველის მხედველიგან. იგი სთხოვს იესოს, რომელსაც უწოდებს ძედ ღვთისაგან.

13. და უბრძანა მათ; და განვიდა სულელები იგი არაწმი-  
ა კაცისა მისგან და შევიდა ღორებსა მას; და მიჰმართა კოლტ-  
ნ მან ღორებისამან კბოდესა მას ზღუად, რამეთუ იყვნეს ვი-  
არ ორ ათას და დაიშთვნეს ზღუასა მას შინა.

14. ხოლო მწყემსნი იგი მათნი ივლტოდეს და უთხრეს  
ლაქსა და დაბნებსა; და გამოვიდეს ხილუად, რაჲძი არს,  
ომელი იგი აქმნა.

15. და მოვიდეს იესოსა და იხილეს ეშმაკეული იგი  
ჯდომარს, შემოსილი და გონიერი, რომლისა თანა იგი ყო-  
ილ-იყო ლეგეონი და შეეშინა.

16. და უთხრობდეს მათ, რომელთა იგი ეხილუა, ვითარ  
ი იქმნა ეშმაკეულისა მისთვის და ღორებისა მისთვის.

17. და ევედრებოდეს მას, რათა წარვიდეს საზღუართა  
თთაგან.

18. და აღრავიდა იესო ნავსა, ევედრებოდა მას, რომე-  
ი იგი იყო ჰირველ ეშმაკეული, რათა მის თანა იყოს.

19. და არა უტევა იგი, არამედ ჰრქუა მას: წარვედ სა-  
დ შენდა თვსთა შენთა თანა და უთხარ მათ, რაოდენი გი-  
ა შენ უფალმან და შეგიწყალა.

---

უ სტანჯავს მას, მაზედ ნუ გამ'ოაცხადებს თავისს ყოვლად  
ქმდლებლობას, — არ უნდოდა ეშმაკს გან'შორება უბედურის  
ცისაგან მიტომ რომ ამითი მოისპობოდა მისი ხელმწიფება  
ა მისი უფლება ამ კაცზე.

9-10. იესო ქრისტემ დაუწყო საუბარი ბოროტ სულს  
ტომ, რომ თვით ეშმაკეულისთვის ეგრძნობინებინა, რომ  
ში არის ბოროტი ძალი, აგრედვე მიტომ რომ მოციქულ-  
ათვისაც განემარტებინა საქმე. იესომ ჰკითხა მას სახელი;  
შეაკმა უთხრა: ლეგეონ არს სახელი ჩემი, რამეთუ მრავალ ვართ \*).

\*) ლეგეონი არის სახელი რომელ ჯართა ერთის ნაწილისა. ჩვე-  
უბრივს ლაპარაკში „ლეგეონი“ იხმარებოდა აღსანიშნავად უთვალავის  
პრავლისა.

32. და მიმოჰხედვდა, რათა იხილოს, რომელმან ეს  
ჰყო.

33. ხოლო დედაკაცსა მას შეეშინა და ჰსძრწოდა, უწ-  
ყოდა, რა იგი იქმნა მის ზედა, მოვიდა და შეუვრდა მას დ-  
უთხრა მას ყოველივე ჭეშმარიტი.

34. ხოლო თავადმან ჰრქჳა მას: ასულო! სარწმუნოება  
მან შენმან გაცხოვნა შენ; წარვედ მშვიდობით და იყავ შენ  
ცოცხალ გვემულებისაგან შენისა.

35. და ვითარ იგი ამას იტყოდა, მოვიდეს შესაკრებე-  
ლის მთავრისანი მის და ეტყოდეს: ასული შენი აღესრულა.  
რასალა აშრომებ მოძღუარსა?

36. ხოლო იესოს, ვითარცა ესმნეს სიტყუანი ესე, რო-  
მელსა ეტყოდეს, ჰრქჳა შესაკრებელის მთავარსა მას: ნუ გე-  
შინინ, გარნა გრწმენინ ხოლო.

ბის ამბების გავრცელებას, ეხლა კი ამ ეშმაკეულ ყოფილს  
ავალებს იქადაგოს რა სასწაული ჰქმნა იესომ, როგორ გან-  
ჰკურნა იგი. ეს საჭირო იყო ამ ნახევრად წარმართულს ქვე-  
ყანაში.

21—24. ეშმაკეულთა განკურნების შემდეგ, იესო მობრ-  
ძანდა გალილეაში, ქალაქს კაპერნაუმში. მას გარს შემო-  
ეხვია ერი დიდძალი. აქ მასთან მოვიდა შესაკრებელის უფ-  
როსი იაიროსი, რომელსაც ძალიან ავად ჰყავდა ასული; ის  
შეუვრდა იესოს, გულმხურვალედ ევედრებოდა მას და სთხოვ-  
და მოსულიყო მისს სახლში, ხელი შეეხო სნეულის ასულის-  
თვის და განეკურნა იგი. იესომ არ უთხრა იაიროსს უარი და  
გაჰყვა მას. ერიც მისდევდა.

25—34. იმ მრავალს ერში, რომელიც მისდევდა იესოს  
ერია ერთი დედაკაციც, რომელიც 12 წელიწადი სისხლის  
დინებით იყო ავად. ექიმებმა, რომლებზედაც მან დახარჯა  
მთელი თავისი საცხოვრებელი, ვერა უშველესრა, პირ-  
აქით, უფრო უარესად გახდა ავად. ეს დედაკაცი იყო მხურ-

37. და არავინ უტევა მიღევნებად მისთანა, გარნა პეტრს იაკობ და იოანს, ძმამ იაკობისა.

38. და მოვიდა სახლსა მას შესაკრებელის მთავრისასა, იხილა შფოთი და ტირილი, და დაღაღებაჲ ფრიადი.

39. და შევიდა და ჰკრქა მათ: რასა აღშფოთებულხართ სტირთ? ყრმა ეგე არა მომკუდარ-არს, არამედ ჰსძინავს.

40. და იგინი ჰბასრობდეს მას; ხოლო თავად-გამოასხა ყოველი იგი შფოთი, და მიიყუანა მამამ მის მისამ და დედაჲ და მოწაფენი მისნი და შევიდა, სადა იგი ჯა მკვდარი იგი ყრმა.

41. და უპყრა კელი ყრმისა მის და ჰკრქა მას: ტალითა

---

ღედ მორწმუნე იესო ქრისტეს სასწაულებრივის ძალისა; დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ ერთის შეხებით იესოს სამოსლისა განიკურნებოდა, მივიდა მასთან შეუმჩნეველად, ეხო მისის სამოსლის ბოლოს და განიკურნა სნეულებისადედაკაცს ეგონა, რომ იესოს შეუმჩნეველი დარჩებოდა ი საქციელი. მაგრამ ღვთის ძალი და დიდება შეუმჩნეველი დაფარული არ უნდა დარჩენილიყო, საჭირო იყო ერსაც ენახა, რომ ადვილი შესაძლებელია მიღება წყალობისა მად მორწმუნისა მიერ, აგრეთვე საჭირო იყო იაიროსის მტკიცებაც იმ განსაცდელის ატანაში, რომელსაც მას ეხმოელოდა და რომელსაც შეეძლო მისი ჩაგდება სასოკვეთილებაში. გულთა მხილავმა იესომ უეჭველად იცოდა, ც შეეხო მას, შეეძლო ეჩვენებინა კიდევ ის დედაკაცი, რამ იკითხა ვინაობა მისი, მიტომ რომ გამხნევებინა იგი, ხეში ეცა მისთვის, მთელს იქ მყოფის ერისთვის დაენახვე-ეს დედაკაცი, ესოდენ მხურვალედ მორწმუნე, ეჩვენე-ა, რომ ის განიკურნა მხურვალე სარწმუნოებისა გამო. კურნებული ჰგრძნობდა უღირსებას, მოვიდა მაცხოვართან პოლით, შეუვრდა მას და უთხრა ერის წინაშე ყოველივე მარტობა თვისის საქციელის შესახებ; იესომ განუტევა იგი



### თბუცი მეექვსე.

1. და გამოვიდა მიერ და მოვიდა თვსად მამულად, და სდევდეს მას მოწაფენი მისნი.

2. და იყო შაბათი და იწყო შესაკრებელსა მათსა სწავლად მათდა, და შრავალთა, რომელთა ესმოდა, განუკვრდეს და იტყოდეს: ვინა არს ესე ამისა, ანუ რა არს სიბრძნესე მოცემული ამისა, და ძალნი ესოდენნი კელთაგან ამის რომელნი იქმნებიან?

3. ანუ არა ესე არსა ხურო იგი, ძე მარიამისი, და ძმაობისი და იოსესი, იუდასი და სკმონისი? და დანი მისნი კელნი არა ჩუენთანა არიან? და დაპრკოლებოდეს მისა არათ.

ებს მიეცათ ასულისთვის საკმელი. მოციქულებს უბრძანა ხოვარმა ეს ამბავი არავისთვის არ ეთქვით, მაგრამ ხმა იაილისის ასულის მედრეთით აღდგინების შესახებ მაინც გაერზა.

### VI

იესო ქრისტეს ქადაგება ნაზარეთის შესაკრებელში (1—6). მოციქულოთა წარვლინება საქადაგებლოდ (7-13). იროდ ანტიდა ერის აზრი იესოზე და მოთხრობა იოანე ნათლისმცემის მოკლვის შესახებ (14-21). სასწაულებრივი განძლება ერთა უღებნოში (20-44). ქარიშხლის გაყუჩება (45-52). იესო ქრისტე გენისარეთის ქვეყანაში (53-59).

1—6. იესო ქრისტე მობრძანდა ქ. ნაზარეთში, თან ახლენ მოწაფენიც. შაბათს დღეს ის შებრძანდა შესაკრებელდა ასწავლიდა ერს. მსმენელთ უკვირდით სიბრძნე იესოსინი მას სთვლიდნენ უბრალო ხუროდ, რომლის დედას

4. ხოლო იესო ეტყოდა: არა არს წინასწარმეტყუელთა შუერაცხ, გარნა თვისსა სოფელსა და ნათესავთა შორის მითა, და სახლსა შინა თვისსა.

5. და არა ჰქმნა მუნ ძალი არცა ერთი, გარნა მცირედთა სნეულთა კელი დაჰსდრე და განჰკურნა იგინი.

6. და უკვირდა ურწმუნოებაჲ იგი მათი, და მიმოიქცეოდნენ და გარემო სოფლებსა მას და ასწავებდა მათ.

7. და მოუწოდა ათ-ორ-მეტთა მათ და იწყო წარვლინებად მათდა ორ-ორისა და მიჰსცემდა კელმწიფებასა სულთა ზედა არაწმიდათა.

8. და ამცნებდა მათ, რათა არა რაჲ მიიღონ გზასა ზედა, გარნა კჳერთხი ხოლო, ნუცა ვაშკარანი, ნუცა პურა ნუცა სარტყელსა რვალი.

9. და რათა ესხნენ სანდალნი, და ნუცა შემოსად ორსამოსელი.

---

და დებს კარგად იცნობდენ; მაგრამ იესომ უბრძანა მათ არა არს წინასწარმეტყუელი შუერაცხ, გარნა თვისსა სოფელსა და ნათესავთა შორის მითა და სახლსა შინა თვისსა. ამ სიტყვების მნიშვნელობა იგივეა, რაც ქართულის ანდაზისა, — „შინაურს ხუცესს შენდობა არა აქვსო“. იესომ არა ჰქმნა ნაზარეთში მრავალი სასწაული ურწმუნობისა გამო ნაზარეთელთა; მაგრამ ვისაც სწამდა მისი სასწაულებრივი ძალა, ისინი განჰკურნდნენ სნეულებათაგან. ის დაბრძანდებოდა ნაზარეთის გარემო ქალაქ-სოფლებში და ჰქადაგებდა.

7—13. მარკოზ მახარებელი აქ მოგვითხრობს იესო ქრისტეს მიერ მოკიქულების წარგზავნისა საქადაგებლად. თუმცა ის მატთე მახარებელზე მოკლედ მოგვითხრობს ამის შესახებ მაგრამ ზოგიერთს შემთხვევაში შეავსებს მას. თანახმად მარკოზ მახარებლის მოთხრობისა, იესომ იწყო წარვლინებად მოკიქულთა. მაცხოვარი აქამდე ამზადებდა მოწაფეებს ქადაგებისთვის, ეხლა კი სცნა, რომ ისინი საკმარად მზად არიან

10. და ეტყოდა მათ, ვიდრეცა შეხვდეთ სახლსა, მუნ აღდგებით, ვიდრე მიერ გამოსულადმდე.

11. და რაოდენთა არა შეგიწყარნენ თქვენ და არცა ჰინონ თქენი, გამორახვდოდეთ მიერ, განიყარეთ მტჳერი რხთაგან თქუნთა საწამებელად მათდა. ამინ გეტყვ თქენ: ოლხინეს იყოს სოდომისა და გომორისა დღესა მას სასაქლისასა, ვიდრე ქალაქისა მის.

12. და გამოვიდეს და ჰქადაგებდეს, რათა შეინანონ.

13. და ეშმაკნი მრავალნი განასხნეს და ჰსცხებდეს ზეთსა ავალთა სნეულთა და განჰკურნებდეს.

14. და ესმა იროდის მეფესა, რამეთუ განჰცხადნა სახენი მისი, და იტყოდა, ვითარმედ იოანე ნათლისმცემელი ჳდრეთით აღდგომილ არს და მითვს იქმნებიან ძალნი მისნა.

15. და სხჳანი იტყოდეს: ილია არს, გინა ვითარცა ერწინასწარმეტყველთაგანი პირჳელთა.

16. ესმა რა იროდის, ჰსთქჳა, ვითარმედ რომელსა მევი მოვჰკჳთე იოანეს, იგი აღდგომილ არს მკჳდრეთით.

17. რამეთუ ამან იროდი მიავლინა და შეიპყრა იოანს, კჳბორკილა იგი და შეჰსჳა საპყრობელედ იოროდიადასავს, ცოლისა ფილიპპსს ძმისა მისისა, რამეთუ იგი შეირთო ოლად.

---

ქმისთვის. ეხლა ისინი არიან იესო ქრისტეს თანამშრომელნი დაგების საქმეში და თავისის გამოცდილებით უნდა დარწმუნდნენ ქადაგების სიძნელეზე. იესომ წარავლინა საქმდაგვლად ორი-ორი მოციქული მიტომ რომ ეს სასარგებლო იყო თთვის, ერთმანეთს გაამხნევებნენ, გაამტკიცებდნენ და გარამისა ურიათა თვალში უფრო მეტი ფასი ექნებოდა ორის ცის ქადაგებას, ვიდრე ერთისას. მარკოზ მახარებელი არაერს ამბობს წარმართთა შორის ქადაგების აღკრძალვის შეხებ, მიტომ რომ მისი სახარება დანიშნული იყო წარმართ-

18. რამეთუ ეტყოდა იოანე იროდის, ვითარმედ ან  
ჯერ არს შენდა, ვითარმცა ცოლად გესჭა ძმის ცოლი შენ

19. ხოლო იროდიადას გულსა დაედჭა მისთვის და უნ  
მოკლჭა მისი, და ვერ კელეწიფა.

20. რამეთუ იროდის ეშინოდა იოანესა და იცოდა ი  
რამეთუ კაცი მართალი და წმიდა არს, და ჰსცვიდა მას, (  
ისმინის მისი და მრავალსა პატივსა უყოფდა და ჯეროვნა  
ისმენდა მისსა.

21. და ვითარცა იყო დღე მარჯუე, ოდეს იროდი. ეს  
სა შობისა მისისასა, სერი უმზადა მთავართა მისთა და ათას  
თავთა მისთა და აზნაურთა გალილეასათა.

22. და შევიდა ასული იროდიადასი და ჰროკვდა და ჰსთნ  
იროდის და მისთანა მეინაკეთა და ჰრქჳ იროდი მეფემან ქალ  
სა მას: მთხოვე რაეცა გნებავს და მიგცე შენ.

23. და ეფუცა მას ვითარმედ რაეცა ითხოვო, მიგკ  
შენ, ვიდრე ზოგადმდე მეფობისა ჩემსა.

24. ხოლო იგი გამოვიდა და ჰკითხა დედასა თვისსა, ვი  
თარმედ რაე ვითხოვო? ხოლო მან ჰრქჳ მას: თავი იოან  
ნათლის-მცემლისა

---

თავან მოქცეულთათვის და კარგი არ იქნებოდა, რომ ამ აღ  
კრძალვის მოხსენებით დაეჩრდილნა სიხარული ქრისტიანობისა  
მით უმეტეს, რომ ეს აღკრძალვა თვითონ მაცხოვარმა შემდეგ  
გააუქმა. სახარების ქადაგების დროს მოციქულებს გადამეტ  
ბულად არ უნდა ეზრუნათ ტანისამოსითვის და სავსებით უნ  
და მინდობოდნენ ღვთის ნებას.

მოციქულებს უნდა ექადაგნათ სინანული, როგორც ჰქა  
დაგებდა თვითონ ქრისტეც; სინანული არის აუცილებლად  
საჭირო პირობა ცათა სასუფეველში შესასვლელად. მოციქუ  
ლებმა იწყეს ქადაგება, მათის ქადაგებით მრავალთ შეინანეს.  
მათ მრავალნი ეშმაკნი განდევნეს და მრავალნი სნეულნი გან  
ჰკურნეს ზეთის ცხებიზ. ზეთის ცხება ძველს დროში ითვლე

25. და შევიდა ქალი იგი მკსწრაფლ მეფისა და ჰრქჳა: მნე-  
ვს, რათა აწვე მომცე მე ლაქნითა თავი იოანე ნათლის-  
ცემლისაჲ.

26. და მწუხარე იქმნა იროდი მეფე; ხოლო ფიცისა  
სთვის და მისთანამეინახეთა, არა ინება შეურაცხყოფაჲ ქა-  
ნისა მის.

27. მეყჳსეულად წარავლინა მეკრმლს მისი, და უბრძანა  
აღებად თავი მისი.

28. ხოლო იგი წარვიდა და მოჰკჳეთა თავი საპყრობი-  
ესა შინა და მოიღო თავი მისი ფეშხუმითა, და მიჰსცა  
ლსა მას და ქალმან მან მიართჳა დედასა თვსსა.

29. და ესმა მოწაფეთა მისთა და მოვიდეს და შეჰმოსეს  
ამი მისი, და დაჰფლეს საფლავსა.

30. და მოვიდეს და შეჰკრბეს მოციქულნი იესოსა, და  
ხხრეს მას ყოველი, რაოდენი ჰქმნეს და ასწავეს.

31. და ჰრქჳა მათ იესო: მოვედით თქჳენ თვსაგან უდაბნოსა  
გილსა და განისჳნეთ მცირედ; რამეთუ იყჳნეს მომავალნი და  
რმავალნი მრავალ და არცალა ჰურისა ჰამად აცალებდეს. —

და საექიმო საშუალებად; მაგრამ მოციქულთა მიერ ზეთის  
ბეებით სნეულთა განკურნება იყო სასწაულებრივი. ცხება  
ეთისა იყო მხოლოდ ნიშანი იმისი, რომ ცხებულს ენიჭება  
ეთის მადლი მაკურნებელი და მიმტევებელი ცოდვათა.

შემდეგ, საქრისტიანო ეკლესიაში ზეთის ცხება შეიქმნა  
ღულ მხარედ საიდუმლო ზეთის კურთხევისა, რომლითაც  
ეს ენიჭება მიტევება ცოდვათა.

14—16. მახარებელი მარკოზიც მღვდითხრობს იოანე ნა-  
ლისმცემლის მოკვლის ამბავს. იესო ქრისტეს სასწაულთ-მო-  
ედებისა და სწავლა მოძღვრების შესახებ ხმამ მიაღწია მმარ-  
ველის იროდის ყურამდე. ერი სთვლიდა იესოს ილიად ან  
ელ აღთქმის ერთ რომელიმე წინასწარმეტყველად. იროდის  
ფგონა, რომ იესო არის მკვდრეთით აღდგომილი იოანე

32. და წარვიდეს უდაბნოსა ადგილსა ნავითა თვსაგანს.

33. და იხილა ერმან მან წარლავიდოდეს და გულის-კი  
ჰყუეს მრავალთა და მკვრცხლ ყოვლისაგან ქალაქებისა შე  
ჰკრბა მუნ და მოვიდეს მათდა.

34. და გამრვიდა იესო და იხილა ერი მრავალი, და  
შეეწყალნეს იგინი, რამეთუ იყუენეს, ვითარცა ცხოვარნი, რომ  
მელთა არა აქუენ მწყემსი და იწყო სწავლად მათდა ფრიად.

35. და ვითარ მრავალი ჟამი წარსულ იყო, მოვიდეს მო  
წათენი მისნი და ეტყოდეს მას: ვითარმედ უდაბნო არს ად  
გილი ესე და ჟამი არსლა ფრიად.

36. განუტევე ერი ესე, რათა წარვიდენ გარემო სოფ  
ლებსა და სანახებსა და იყიდონ თავისა მათისა საზრდელს  
რამეთუ რამცა ჰსქამეს, არა აქუს.

37. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: ეცით თქუენ

---

ნათლისმცემელი, რომელიც მან მოაკვლევინა. ამბავი იოან  
ნათლისმცემლის მოკვლისა მარკოზ მახარებელს მოთხრობილ  
აქვს თანახმად მატთე მახარებლისა (16; 3-13), მაგრამ მარ  
კოზსაც აქვს ცოტა რამ თავისებურიც. მაგალითად, ის ბძ  
ნებს, რომ იროდიადას, იროდის უკანონო ცოლსა გუფსა და  
ედჳჳა მისთვის, ე. ი. გაბოროტებული იყო იოანეზე მხილებ  
სათვის და უნდოდა მისი მოკვლა, მაგრამ ვერ შეეძლო ამის  
ქმნა თვისის უფლებით და ძალით. უეჭველია, ის ჩასჩიჩინე  
და იროდის მოეკლა იოანე, მაგრამ, როგორც მარკოზ მახ  
რებელი მოგვითხრობს, იროდს ეშინოდა იოანესი, რადგანა  
მოაჩნდა ის წმიდა და მართალ კაცად, იფარავდა მას, ისმენდ  
მისს რჩევა-დარსებებს და პატივსა სცემდა. სჩანს, იროდი ყო  
ფილა სუსტის ხასიათის კაცი, — ის ხან თანხმებოდა ხასა  
იროდიადას და უნდოდა მოკვლა იოანესი, როცა გაჯავრდ  
ბული იყო; ხან კი, როცა დამშვიდდებოდა, გულს მოიბრუნ  
ნებდა იოანესკენ და ისმენდა მისს რჩევა-დარიგებას. ცბიერ

ათ ქამადი. ხოლო მათ ჰრქჳეს მას: წარვიდეთ და ვიყიდოთ  
ასის დრაჰკანისა პური, და ვჰსცეთ მათ ქამადი.

38. ხოლო იესო ჰრქჳა მათ: რაოდენი გაქჳს პური მი-  
ვით და იხილეთ. და იხილეს და რქჳეს: ხუთი პური და  
თი თევზი.

39. და უბრძანა მან დასხდომაჲ მათ ყოველთა პურის  
ედ, პურის მტედ მწჳანვილსა ზედა თივისასა.

40. და დაჰსხდა მწყობრად, მწყობრად ას-ასი და ერგა-  
ნი—ერგასისი.

41. და მოიღო ხუთი იგი პური და ორი თევზი და აღი-  
წინა ზეცად და აკურთხა. და დაჰმუსრა პური იგი და მიჰს-  
ხდა მოწაფეთა თვსთა, რათა დაუგონ მათ და ორი იგი  
თევზი ეგრეთვე განუყო ყოველთა.

42. და ჰსქამეს ყოველთა და განჰსძღეს.

43. და აღიღეს ნეშტი ნამუსრევი ათ-ორ-მეტი გოდორი  
სებით და თევზისა მისაგანცა.

44. და იყუნეს რაოდენთა იგი ჰსქამეს, ვითარ ხუთ ათას  
განი.

---

ოღიადამ იპოვა მარჯვე დრო, როცა იროდმა წვეულება  
არათა თვისის შობის დღეს, და აცეკვა თავისი ასული. ეს  
ცეკვა იროდს მოეწონა და აღუთქვა მას იოანე ნათლისმცემ-  
ის თავის მიცემა და აღასრულა კიდევც ეს თავისი დაპირება.  
იანეს თავი მოჰმვეთა მეხრმლე; მეხრმლე ეწოდებოდა მეფე-  
მცველებს, რომლებიც თან ახლდნენ მეფეებს დღესასწაუ-  
ბში და ნადირობის დროს და ასრულებდნენ მეფეთა ბრძა-  
სის ვისსამე მოკვლის შესახებ. ასე იქმნა მოკლული იოანე  
ნათლისმცემელი, მქადაგებელი სინანულისა და მოძღვარი მარ-  
ტობისა და მალაღის ზნეობისა.

30—44. მოციქულები დაბრუნდნენ ქადაგებიდან; მათ  
ვენება ეკირებოდათ და მაცხოვარმაც უბრძანა წასულიყ-

45. და მეყჩესეულად აიძულა მოწაფეთა შესლტად ნა  
სა; რათა წინა-წარუძღვეს მას წიაღ-კერძო ზღუასა მას ბე  
საიდათ, ვიდრემდე განუტეოს მან ერი იგი.

46. და უჯმნა მათ და აღვიდა მათსა ლოცჳად

47. და ვითარცა შეჰმწუხრდა, იყო ნავი იგი შუაოდ  
ზღუასა მას და იგი თავადი მარტო ქჷყყანასა.

48. და იხილნა იგინი, რამეთუ იურვოდეს სლუასა მ  
ნავისასა, რამეთუ იყო ქარი იგი პირით კერძო მათსა. (   
მეოთხესა სახმილავსა ღამისასა მოვიდა მათდა იესო სლ  
ზღუესა ზედა და უნდა თანა-წარსლჳად მათგან.

49. ხოლო მათ, ვითარცა იხილეს იგი, ვიდოდა (   
ზღუასა ზედა, ჰგონებდეს, ვითარმედ საოცარ რაჰე არს (   
ლაღად-ჰყუეს.

50. რამეთუ ყოველთა იხილეს იგი და შეჰსძრწუნდეს (

ვნენ და უღაბნო ადგილს დაესვენათ. მოციქულები და იეს  
ნავით წავიდნენ; ერმა გაიგო საითკენაც წაბძანდა იესო მ  
ციქულებით და ფეხით გაემართნენ იქითკენ და იესოზე უ  
რო აღრეც მივიდნენ დანიშნულს ადგილზე. იესომ იხილ  
სიმრავლე ერისა, შეებრაღა იგი და ასწავებდა მას.

რადგანაც დიდი დრო გავიდა იესოსთან მივიდნენ მოციქ  
ლები და სთხოვეს გაეშვა ერი საზრდოს საყიდლოდ; მაცხოვარ  
ბრძანა, რომ მოციქულებს მიეცათ საზრდო ერისათვის; მა  
რამ მოციქულებმა მოახსენეს, რომ იქ მყოფს ერს ორ  
დრაჰკანის პურიც არ ეყოფათ. ორასი დრაჰკანი უღრ  
ჩვენებურს ოთხს თუმანს. იესომ უბრძანა მოციქულებს და  
ხათ ერი მწვანეზე, მოატანინა ის ხუთი პური და ორი თ  
ზი, რომელიც იქ აღმოჩნდა, აღიხილა ზეცად, აკურთხა  
მისცა მოციქულებს ერისთვის დასარიგებლად; ყველა  
მყოფთა სჰამეს და გაძღნენ და კიდევ თორმეტი გოდ  
რი ნატეხები აიღეს. სულ იყო პურის მჰამელი ხუთათ  
კაცამდე, გარდა ბავშვებისა და დედაკაცთა.—ეს გ

ქსეულად ეტყობა მათ და ჰრქვა: გულპრობილი-იყუნით, ვარ, ნუ გეშინინ!

51. და აღვიდა მათ თანა ნავსა, და დაჰსცხრა ქარი იგი უმეტესად დაუკვრდებოდა მოწაფეთა მისთა.

52. რამეთუ ვერ გულის-კმა-ჰყვეს პურთა მათ ზედა, ჰეთჲ იყუნეს გულნი მათნი დასულებულ.

53. და წიაღ-ჰკდეს და მოვიდეს ქუყანად გენისარეთად

54. და ვითარ ვამო-ოდენ-ვიდეს მიერ ნავით, მეყუხეულად ნეს იგი კაცთა მათ მის ადგილისათა.

55. და მიმორბიოდეს ყოველსა მას სოფლებსა, და იწ-

ება ერისა იყო დიდი სასწაული, დამამტკიცებელი იესო ქრისტის ღვთაებისა; ამ სასწაულით იესომ აღასრულა თავისი აღთქმა: ებდით პირველად სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ. მშიერს ერს სამის დღის ძავლობაში არ უზრუნავს სასმელ-საკმლისთვის, მას უნდოესმინა იესოსაგან სიტყვანი ცხოვრებისანი, ის ეძიებდა ცასასუფეველს და აი ეხლა შეეძინა ქვეყნიური სიკეთეცა. სასწაულით იესომ გამოაცხადა თავი თვისი ქვეყნის ქეშმატ პურად, სიკოცხლის შეუწყვეტელ და დაუღვენელ მასადობლად, რამელშიც ყოველივე საკმარი და მომეტებუ ყოველ დროსთვის და მშიერ-მწყურვალ სულისთვის.

45—56. ერის სასწაულებრივად განძღომის შემდეგ, იე-უბრძანა მოციქულებს ნავით წასულიყვნენ ზღვის მეორე ერს ბეთსაიდისკენ. ამბავი ზღვაზე ქარიშხლის გაყუჩებისა წყალთა ზედა სვლისა მოთხრობილი აქვს მატთე მახარების უფრო ვრცლად და დაწვრილებით (14, 22—23). აქ კოზ მახარებელი შენიშნავს, რომ მოციქულები ძალიან ცვიფრეს ამ სასწაულებმა; ისინი ვერ დაარწმუნა სასწაუ-რივად განმრავლებულის პერით ერის განძღებამ, მიტომ რომ ი გული გაქვავებული იყო. მოციქულებს სწამდათ, რომ ის ჰქონდა ძალი სასწაულთ-მოქმედებისა, მაგრამ დიდის

ყეს მოღებად ყოველთა სნეულთა ცხედრებითა, სადაცა ესმის ვითარედ მუნ არს.

56. და ვითარცა შევიდოდა დაბნებსა, და ქალაქებსა, და აგარაკებსა, უბანთა ზედა დაჰსდგმიდეს უძლურთა მათთა დევედრებოდეს მას, რათა ფესუსა ოდენ სამოსლისა შეახონ და რაოდენნი შეეხებოდეს, ჰსცხოვნდებოდეს.

### თავი მეშვიდე.

1. და შეჰკრბეს მისა ფარისეველნი და რომელნიმე მწგნობართაგანნი, რომელნი მოსრულ-იყვნეს იერუსალიმით.

---

და თავზარდამცემის შიშის გამო, ისინი დაიბნენ და დაავიწყდათ ყოველივე უწინდელი სასწაულები და როგორც ჩვეულებრივმა ცოდვილმა კაცებმა ვერ დასთურგნეს ეს გრძნისგაკვირვებისა ახლის სასწაულით, როცა იესოს ნაეში შეაღლისთანავე დადგა ღელვა. გენესარეთის ქვეყანაში იესომ ჰქჳ მრავალი სასწაული.

## VII

საუბარი ფარისევლებთან, მწიგნობრებთან, ერთან და მოციქულებთან უბანელ ხელით პურის ჭამას შესახებ (1—23) იესო ტვიროს-სიდონის საზღვრებში განკურნება ასურ-ფინიკიელ დედაკაცის ასულისა (24—30). დაბრუნება იქიდან და განკურნება ყრუსი და ძნიად-მეტყველისა.

1. იესოსთან მოვიდნენ იერუსალიმელი მწიგნობრები და ფარისევლები. მათ დაინახეს, რომ მოციქულები უბანელ ხელით სჭამდნენ პურს; ეს გამობად მიიჩნიეს.

2—23. მარკოზ მახარებელი მოგვითხრობს იესო ქრისტეს საუბარს ხუცესთა მოძღვრების შესახებ. ეს საუბარი მკვიდრი აქვს მართე მახარებელსაც (15, 1—20), მაგრამ მ

2. და იხილეს ვინმე მოწათფეთა მისთაგანნი შეგინებულთა კელითა, ესე იგი არს, უბანელითა კელითა ჰსჯამდეს არსა, და ჰგმობდეს.

3. რამეთუ ფარისეველთა და ყოველთა ურიათა, თკეთუ ია იდაყვთგან დაიბანიან კელნი, არა სჯამიან, რამეთუ ეპყ. მათ მოცემული იგი მოძღვრებაჲ ხუცესთაჲ.

4. და უბანთაგან რა შევიდიან, უკეთუ არა იბანიან, ია სჯამიან, და სხჯაჲ მრავალი არს, რომელი მოელა რობად,—განრცხაჲ სასუმელებისაჲ და სტამნებისაჲ, და ქჷაბისაჲ და ცხედრებისაჲ.

5. მაშინ ჰკითხეს მას ფარისეველთა მათ და მწიგნობარნი: რაჲსათჳს მოწათფენი შენნი არა ვლენან მოძღვრებისაგებრ ცესთასა, არამედ უბანელითა კელითა ჰსჯამენ პურსა?

6. ხოლო იესო მიუგო და ჰრქჷა მათ: რამეთუ კეთილად თქჷა ისაია წინასწარმეტყჷელმან თქჷენ ორგულთათჳს, ვიარცა წერილ არს: ვითარმედ ერი ესე ბავითა მათითა პავემცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორად განშორებულნი ჩემგან;

ედ, მარკოზ მახარებელთან შედარებით. რადგანაც წმ. მარკოზი სახარებასა სწერდა ქრისტიანობაზე მოქცეულ წარმართების, რომლებმაც არ იცოდნენ ურიათა ჩვეულებანი, ტომ ის დაწვლილებით აღგვიწერს ურიათა ჩვეულებას მბანვის შესახებ. სჯული უბძანებდა ურიებს დაეცვათ სიფთავე შინაურს ცხოვრებაში. მაგრამ მათ, ვითომცდა სჯულის ერთგულობით, ზრუნვა სისუფთავის შესახებ მეტისმედ დააწვრილმანეს. ამ წვრილმანებს ისინი სჯულზე უმტკისად ასრულებდნენ. ქუჩიდან რომ ოთახში შემოვიდოდნენ, უკუდ უნდა განბანილიყვნენ, რადგანაც გარეთ ყოფნის დროს ნება-უნებლიეთ უნდა შეებოდნენ სხვა-და-სხვა არაბანდა საგანს; პურის ქამის წინ კი იდაყვამდე იბანდნენ ხელებს. ჩვეულებად ჰქონდათ, აგრეთვე, გარეცხა ყოველივე

7. ამოდ მსახურებენ მე, ასწავებენ მცნებასა და მოძღურებასა კაცთასა;

8. და დაგიტევებიეს მცნებად ღმრთისაჲ და გიპყრიეს მოძღურებაჲ კაცთაჲ, — განრცხაჲ სასუმელებისაჲ და სტამნებისაჲ და სხუასა ესე ვითარსა მრავალსა ჰყოფთ.

9. და ეტყოდა მათ: კეთილად შეურაცხ-ჰყოფთ მცნებასა ღმრთისასა, რათა მოძღურებაჲ თქქენი დაამტკიცოთ.

10. რამეთუ მოსე ჰსთქვა: პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა და რომელმან ბოროტი ჰსთქჳას მამისათჳს, გინა დედისათჳს სიკვდილითა მოჰკუდინ.

11. ხოლო თქქენ სთქქთ: უკეთუ ჰრქჳას კაცმან მამასა, ანუ დედასა: კობან, რომელ არს ნიქი, რომელი რა ჩემგან სარგებელ გეყოს;

12. და არა უტევებთ მათ მამასა და დედასა ყოფად.

13. და დაუმტკიცებელ გიყოფიეს სიტყუაჲ ღმრთისაჲ მოძღვრებითა მაგით თქქენითა, რომელსა ასწავებთ, და მჰსგავსსა ამათსა მრავალსა ჰყოფთ.

14. და მოუწოდა ყოველსა მას ერსა, და ეტყოდა მათ ისმინეთ ჩემი ყოველა და გულას-კმა ჰყავთ:

15. არა რა არს კაცისა გარეთ შემავალი მისა, რომელმანცა შეაგინა იგი, არამედ რომელი გამოვალს მისგან, იგი არს, რომელი შეაგინებს კაცსა.

16. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

---

კურკლისა, რომელსაც რაიმე შეხება ჰქონდა საქმელთან; რეცხდნენ სკამებს, საწოლებს და სხვათა. ასეთს ჩვეულებებს ურიანი ამყარებდნენ ხუცესთა მოძღვრებაზე.

ფარისევლებმა უსაყვედურეს იესოს მოციქულთა ასეთის საქციელის გამო; იესო ქრისტემ უპასუხა მათ ძველის აღთქმის წინასწარმეტყველის ისაიას სიტყვებით, რომლებიც შეეფერებოდნენ იესოს თანამედროვე ურიათაც. ურიებს უყურადღებოდ დაუტოვებიათ მცნება და მოძღვრება ღვთისა და

17. და ოდეს შევიდა სახიდ ერისა მისგან, ჰკითხვდეს მას წაფენი მისნი იგავისა მისთვის.

18. და ჰრქვა მათ: ეგრეთვე თქვენცა უგულის-კმოვეთა და არა გიცნობიეს, რამეთუ ყოველი გარეშე შემავალი კსა არა შეაგინებს.

19. რამეთუ არა შევალს გულსა, არამედ მუცლად და ისავლით განვალს და განჰსწმენდს ყოველსა ჭამადსა.

20. და იტყოდა, ვითარმედ კაცისაგან გამოძევალი შეაწებებს კაცსა.

21. რამეთუ შინაგან გულისაგან კაცთასა გამოვლენან ლის-სიტყუანი ბოროტნი, მრუშებანი, სიძვანი, პარჯანი, კის-კლვანი,

22. ანგარებანი და უკეთურებანი, ზაკუნანი, არაწმიდენი, თჳალ-ბოროტებანი, გმობანი, ამპარტავნებანი, უგუნუბანი.

23. ესე ყოველნი ბოროტნი შინაგან გამოვლენ და შეაწებენ კაცსა.

24. და მიერ აღჰსდგა და წარვიდა საზღჳართა ტჯროსა და სიღონისათა; და შევიდა სახლსა და არა უნდა, რამცა აგრძნა ვინმე და ვერ კელეწიფა დაფარვად.

---

თ მაგიერად ასრულებდნენ კაცთა გამოგონილს მოძღვრებას. — ქურქლის გარეცხვა-გასუფთავებას. მაგ. მოსე წინასწარტყველმა ბრძანა პატივის-ცემა დედმამისა, ურიები კი, პატივის-ცემის მაგიერად, შეურაზ-ჰყოფენ დედმამას როცა ვიძამცდა ღვთისთვის შეწირვის სახით, აკლებენ მათ საზრდოს.

შემდეგ იესომ მოუწოდა ერს და უბრძანა, რომ გარეშენ შემავალი არაფერი არ აუწმინდურებს კაცს. მას აუწმინდურებს და შეაგინებს ყოველი, რაც გამოდის მისის გულიდან. როცა იესო ქრისტე შებრძანდა სახლში, მაშინ მას მოაქულებმა სთხოვეს განემარტებინა მათთვის ეს იგავი. მაგ. ივარმა განუმარტა მათ, რომ საკმელი არ მიდის კაცის გულ-

36. და ამცნო მათ, რათა არავის უთხრან, და რაოდენ იგი ამცნებდა მათ, იგინი უფროს მიმო-დაჰსდებდეს.

37. და უმეტესად განუკრდებოდა და იტყოდეს: ყველსავე კეთილსა იქმს,—ყრუთა ასმენს და უტყუთა ატყუებულსა.

### თავი მეჩვიე.

1. მათ დღეთა შინა, მერმე კჳალად ერი მრავალი იქმნა და არა რაჲ აქჳნდა, რაჲმცა ჰსკამეს, მოუწოდა მოწაფე მათსთა და ჰრქჳა მათ:

2. მეწყალვის მე ერი ესე, რამეთუ სამი დღე არს ნადგან მელიან მე და არა რაჲ აქჳს რაჲ ჰსკამონ.

3. და უკეთუ განუტევენე უზმანი ვანად მათდა, დაჰსკამენ გზასა ზედა; რამეთუ რომელნიმე მათგანნი შორით წაიხრეს სრულ არიან

---

რისეველები, რომლებიც მას თვალყურს ადევნებდნენ და აცხვებდნენ ბოროტსა და ცრუ ხმებსა მის სასწაულთა შეხებ. მაგრამ მადლიერი განკურნებულები უმეტესად ღაღადებდნენ ამ საქმეთა შესახებ, ყოველსავე კეთილად იქმსო.

### VIII

სასწაულებრივი განძლება ერისა (1—9). პასუხი ფარსეველთა თხოვაზე სასწაულის შესახებ (10—12). გაფთხილება ფარისეველთა კომისგან (13—21). განკურნება ბეთსაედელ ბრმისა (22—26). აღსარება პეტრესი და წინასწარ თქმულებათა (27—33). თავის თავის უარ-ყოფა (34—38).

1—9. მოთხრობა ოთხი ათასი კაცის განძლების შესახებ შვიდის პურიით და მცირე თევზით მოყვანილი აქვს მათე მახარებელსა (15, 32—39); მარკოზ მახარებელი აქმს ღაღადებულს, რომ უფალმა ყურადღება მიაქცია შორიდ

4. და მიუგეს მოწაფეთა მისთა და ჰრქმეს: / ვინა ძალ-  
განძღებად აქა პურითა ესოდენისა ერისა უდაბნოსა  
ა<sup>9</sup>
5. და ჰკითხა ამათ: რაოდენი გაქმეს პური? ხოლო მათ  
ქმეს: შვიდი.
6. და უბრძანა ერსა მას დასკდომოდა ქუყანასა; და მო-  
შვიდი იგი პური, ჰმადლობდა და განჰსტეხა და მიჰსცემ-  
მოწაფეთა თვსთა, რათა დაუგონ მათ, და დაუგეს ერ-  
სას.
- 7 და აქვნდა თევზიცა მცირედ, და იგიცა აკურთხა და  
ძანა მან დაგებად.
8. და ჰსჯამეს და განჰსძღეს, და აღიღეს ნეშტი იგი ნა-  
რევი შვიდი სფვრილი.
9. და იყუნეს რომელთა იგი ჰსჯამეს, ვითარ ოთხ-ათას  
ენ; და განუტევნა იგინი.
10. და მეყჴსეულად შევიდა იესო ნაესა მოწაფეთა მისთა  
და წარვიდა ადგილთა დაღმანუთასათა.
11. და გამოვიდეს ფარისევლნი და იწყეს გამოძიებად  
მანა, და ითხოვდეს მისგან სასწაულსა ზეცით, და გამო-  
დიდეს მას.

---

ულებს, რომლებსაც ახლო მახლო ნაცნობები არა ჰყავ-  
ნენ, რომ მათგან მიეღოთ პური. ეს მოწმობს იესო ქრის-  
ტე მზრუნველობას კაცთათვის. მოციქულებს, რომლებმაც  
ეს ხანი არ არის მას აქეთ რაც იხილეს სასწაული ხუთ-  
სის კაცის განძღებისა ხუთის პურით და ორი თევზით,  
მომცემს, უეჭველია, ახსოვდათ ეს სასწაული, გაკვირვე-  
ლნი იკითხის: საიდან შეიძლება ამდენის ერის განძღება პუ-  
რით ამ უდაბურს ადგილშიო? ხშირად გაქირებულს მდგომა-  
ობაში მყოფს კაცს ავიწყდება, როგორ იხსნა ის ღმერთმა  
მეღურობისაგან უწინ; კაცის ვეხსიერებიდან ხშირად უნიშ-  
ნულ იკარგება შემწეობა ღვთის ყოვლად მოწყალე და ყოვ-

28. ხოლო მათ მიუგეს და ჰრქმეს მას: იოანე ნათლი  
მცემელი, და სხუათა ილია, და სხუათა ერთი წინასწარმ  
ტყულობათაგანი.

29. ჰრქუა მათ იესო: თქვენ რა ჰსთქუთ ჩემთვის, ვინ ვ  
მე? მიუგო მას პეტრე და ჰრქუა: შენ ხარ ქრისტე

30. და შეჰრისხნა მათ, რათა. არავის უთხრან მისთვის.

31. და იწყო სწავლად მათდა, ვითარმედ ჯერ არს ძი  
კაცისა ფრიად ვნებად, და შეურაცხ-ყოფად მოხუცებულთაგ  
და მღვდელთ-მთავართა და მწიგნობართა და მოკლუად  
მესამესა დღესა აღდგომად

32. და განცხადებულად სიტყუასა ამას ეტყოდა, რა გა  
რაიყუანა იგი პეტრე და იწყო ბრალობად მისა ამის სიტყ  
სათვის.

33. ხოლო თავადი მიექცა და იხილნა მოწათენი თვისნი

ვარი ნავით წაბრძანდა გალილიის ზღვის სამხრეთ აღმოსა  
ლეთის მხარეს.

14—21. მოციქულებს დავიწყებოდათ სამყოფი პური  
წაღება საგზაოდ; მათ მხოლოდ ერთი პური ჰქონდათ ნავში  
იესო ქრისტემ უბრძანა მათ: ეკრძალებით ცომისგან ფარისევე  
თასა და ცომისგან ირადიანთასა. მატყე მახარებელი მოთხრ  
ბაში ამის შესახებ იხსენიებს ფარისეველთა და სადუკეველთ  
ამიტომ ჰგონებენ, რომ იროდ ანტიპა ისეთივე შეხედული  
ბისა იყო როგორც სადუკეველები, ე. ი. ცხოვრების დედ  
აზრს ისინი ხედავდნენ ხორციელს სიამოვნებაში. ამათგან ა  
თხილებდა იესო მოციქულებს. მათ კი ეგონათ, რომ იეს  
გვეუბნება, რატომ პური არ წამოიღეთო. იესომ განუმარტ  
მოციქულებს, რომ მას რომელმაც ხუთის პურით განაძლ  
ხუთი ათასი კაცი და ოთხი ათასი შვიდის პურით, შეუძლი  
ერთი პურით თორმეტ მოციქულის განძლობაც. მოციქულ  
ბიც მიხვდნენ, რაზე ელაპარაკებოდა მათ იესო.

22—26. ბეთსაიდაში იესოს მოჰგვარეს ერთი ბრმა

ეპრისხნა პეტრეს და პრქუა მას: წარვედ ჩემგან მართლოუკუნ,  
შეაკო, რამეთუ არა ჰზრახავ ღმრთისასა, არამედ კაცთასა.

34. და მოუწოდა ერსა მას მოწაფეთა მისთა თანა და  
რქუა მათ: რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსლჳთაჲ, უარ-  
ყუნ თავი თვისი, და აღიღენ ჯუჳარი თვისი და შემომიდეგინ მე.

35. რამეთუ რომელსა უნდეს სულისა თვისისა განრინე-  
თაჲ წარიწყმიდოს იგი, და რომელმან წარიწყმიდოს სული  
იჲსი ჩემთვის, გინა სახარებისათვის, მან აცხოვნოს იგი.

36. რა სარგებელ არს კაცისა, უკეთუ შეიძინოს სოფე-  
რი ესე ყოველი და სული თვისი იზღვოს?

---

კი: ეს კაცი, როგორცა სჩანს (24) უწინ ხედავდა და მერე  
ღაბრძავეებულა. ამის განკურნების დროს იესო ისევე მოიქცა,  
როგორც ყრუ ძნად მეტყველის განკურნების ჟამს (თავი 7).  
მაცხოვარმა ეს ბრმა კაცი ერთბაშად არ განჰკურნა, მან ჯერ  
ჩიქცა მხედველობა იმოდენად, რომ ხედავდა, თუმცა კი ბუნ-  
ღოვანად. ამით მაცხოვარმა განაცხოველა მაში ძლიერი სურ-  
ვილი სრულიად განკურნებისა და მტიცე სარწმუნოება. შემ-  
დეგ კი სრულიად განჰკურნა იგი და მიანიჭა მას მხედველო-  
ბა. მაცხოვარმა გაგზავნა განკურნებული სახლში და უბრძა-  
ნა არავისთვის არ ეთქვა ეს ამბავი.

27—30. პეტრე მოციქულის აღსარების ამბავი მარკოზ  
მახარებელს მოკლედ აქვს მოთხრობილი მატთე მახარებელზე.  
აქ გამოტოვებულია ის სიტყვები მოწონებისა და ქებისა, რომ-  
ლებიც იესომ უბრძანა პეტრეს, მაგრამ საყვედურის სიტყვე-  
ბი პეტრესადმი მიმართული კი შენახულია. აქედან ცხადია,  
რომ მარკოზ მახარებელმა სახარება დასწერა პეტრე მოციქუ-  
ლის ხელმძღვანელობით; თავმდაბლმა მოციქულმა არ ინება  
თქვა ამ ქებისა. როგორც მახარებელი მარკოზი მოგვითხობს,  
იესო მოციქულებს ესაუბრებოდა გზასა ზედა.

31—38. თვისთა ტანჯვათა და სიკვდილის შესაგებ იესო  
ესლა განცხადებულად უბრძანებდა მოციქულებს. მარკოზ მახა-

37. ანუ რაჲ მიჰსცეს კაცმან ნაცულიდ სულისა თვისის

38. რამეთუ რომელსა იგი სირცხულ-უჩნდეს ჩემი და სიტყუათა ჩემთა, ნათესავსა ამას მემრუშესა და ცოდვლსა, ძემანცა კაცისამან არცხვნოს მას, რაჲმს მოვიდეს დიდებით მამისა თვისისაჲთა ანგელოზთა თანა წმიდათა.

### თავი მეცხრე.

1. და ეტყოდა მათ: ამინ გეტყვი თქვენ, რამეთუ არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემოჲ სიკჳდილისაჲ, ვიდრემდე იხილონ სასუფეველი ღმრთისა მომავალი ძალითა.

2. და შემდგომად ექჳსისა დღისა, წარიყჳნა იესო პეტრს, იაკობ და იოანს, და აღიყჳნა იგინი მთასა მაღალსა თჳსაგან მარტონი, და იცჳლა სხუად ხატად წინაშე მათსა.

---

რებელს თითქმის იმავე სიტყვებითა აქვს აღწერილი ეს საუბარი და აგრეთვე საუბარი თავის თავის უარყოფის შესახებ რა სიტყვებითაც მატთეს. როგორც მარკოზ მახარებელი მოგვითხრობს იესომ ეს უკანასკნელი საუბარი წარმოსთქვა ერესათვის და არა მარტო მოციქულთათვის.

### IX

ფერისცვალება უფლისა (1—13). განკურნება ეშმაკეულისა (14—29). განმეორება წინასწარმეტყველებისა სიკვდილის და აღდგომის შესახებ (30—32). მოციქულთა დამოკიდებულება ურთიერთ შორის: სიმდაბლე, სიყვარული; საუბარი საცდურთა შესახებ (33—50).

1. პირველი მუხლი მეცხრე თავისა არის დაბოლოვებ მერვე თავისა. ეს სიტყვა მაცხოვრისა აღსრულდა. იხილეს სა

3. და სამოსელი მისი იქმნა ბრწყინვალე და სპეტაკ, აარცა თოვლი, რომელ ყოველსავე მმურკნვალსა ქმეცა-  
ა ზედა ვერ კელმწიფების ეგრედ განსპეტაკებად.

4. და ეჩვენა მათ მოსე ილიასთანა; და იუვნეს იესოს  
და ზრახვდეს.

5. და მიუგო პეტრე და ჰრქვა იესოს: რაბი, კეთილ  
ჩვენდა აქა ყოფაჲ; ვჰქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენ-  
ი, ერთი მოსესთჳს და ერთი ილიასთჳს.

6. რამეთუ არა იცოდა რაჲმცა მიუგო, რამეთუ იუვნეს  
მინებულ.

7. და იყო ღრუბელი და აგრილობდა მათ და კმა იყო  
უბლით გამო და სთქვა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, მაგი  
ისმინეთ.

8. და მეყუხეულად მიმოიხილეს, და არავინ იხილეს,  
და იესოჲ ხოლო მათთანა.

---

ვეველი ღვთისა მომავალი ძალითა; იხილეს, ე. ი. მისს  
რცელეებას მოესწრნენ მრავალნი იესოს საუბრის მსმენელ-  
ანნი; ისინი მოესწრნენ იესო ქრისტეს სწავლის გავრცე-  
ებას მთელს ხმელეთზე, რომელიც კი მაშინ იყო ცნობილი.

იხილეს, როგორ მისწვდა ეს სასუფეველი კაცთა გულს,  
როგორ განაახლა მან კაცობრიობა, როგორ მიანიჭა მას  
ი ცხოველ—მყოფელი ძალი და გამოიჩინა თვისი ძლიერება.

2—10. იესო ქრისტეს ფერისცვალების შესახებ მარკოზ  
რებელი მოგვითხრობს თანახმად მატთე მახარებლისა,  
რამ უფრო შემოკლებით. იესო ქრისტეს ფერისცვალებას  
კი მნიშვნელობა აქვს. მისმა შინაგანმა ფერისცვალებამ,  
შელიც იყო მიზეზი გარეგანის ფერისცვალებისაც, აღამალ-  
ისედაც მაღალი და სრული კაცური ბუნება მაცხოვრისა  
დააყენა ისეთს ზნეობრივს სიმაღლეზე, როგორზედაც ის  
ოდეს არა მდგარა. მარკოზ მახარებელი ყურადღებას აქ-  
იესოს სამოსლის განბრწყინვებას, მატთე კი სახისას.

9. და გარდამოვიდოდეს მიერ მთით, ამცნო მათ, რ არავის უთხრან, რაჲ იგი იხილეს, გარნა ოდეს ძე კაც მკუდრეთით აღსდგეს.

10. და სიტყუაჲ იგი დაიმარხეს თავისა თვისისათანა, გამოეძიებდეს ურთიერთას, ვითარმედ, რა არს იგი ო მკუდრეთით აღსდგეს?

11. და ჰკითხავდეს მას და ეტყოდეს: ვითარმედ იტყუ მწიგნობარნი, ილიასი ჯერ არს პირველად მოსლჳაჲ.

12. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: ილია ვიდეს და კვალად აგოს ყოველი, და ვითარმედ წერილ დისა კაცისათვის, რათა ფრიად ევნოს და შეურაცხ—იქმნეს.

13. არამედ გეტყვ თქუენ, რამეთუ ილია მოვიდა უყუეს მას, რაოდენი უნდა, ვითარცა წერილ არს მისთვის.

14 და მოვიდა მოწაფეთა მისთათანა, იხილა ერი გამო მათსა და მწიგნობარნი გამოეძიებდეს მათ თანა.

15. და მეყუესეულად ყოველმან ერმან იხილა იგი, დაუკვრდა და მორბიოდეს და მოიკითხეს იგი.

---

თვით ეს განბრწყინება იყო ზეციური, ასე რომ არავ არ შეიძლებოდა მისი შედარება არაგვარ ქვეყნიურ ნაწარმებთან. მოციქულებმა იხილეს იესოსთან მდგომარენი მოსწი ილია, ძველი აღთქმის წინასწარმეტყველნი, რომლებიც ესაუბრებოდნენ. პეტრე მოციქულმა, განცვიფრებულმა სანახაობით, მოახსენა იესოს: რაბი, კეთილ არს ჩუენდა ყოფაჲ; ვჰქმნეთ აქა სამ ტალაფარ: ერთი შენტვს, ერთი მასუს და ერთი ილიასთვის. პეტრე მოციქულმა ამაზედ შეტი ვერა სთქრა, რადგანაც შეშინებული იყო. სჩანს, რომ ვერც პეტრე მოციქულს, ვერც სხვებს, რომელთა მაგივრადაც ის პარაკობდა, ჯერ არ შეეძლოთ თვისის მოძღვრის წარმოდგენილიდებით. ღრუბლით მოისმა ხმა ზეცათა მამისა: ესე არს ჩემი საყუარელი, მაგისი ისმინეთ. ღრუბელი რომ გაიფან მოციქულებმა მარტო იესოლა დაინახეს, რომელმაც უბრ

16. და ჰკითხა მწიგნობართა მათ და ჰრქჳა: რასა გამო-  
ბთ ურთიერთას?

17. და მი-ვინმე-უგო მას ერთმან მის ერისაგანმან და  
ჲა; მოძღუარ, მოვიყუანე ძს ჩემი შენდა, რომლისათანა  
სული უტყუებისა.

18. და სადაცა დააპყრის იგი, დააკჳეთის, და პეროინ,  
აღრჯენ კბილთა, და განჰკმებინ, და უთხარ მოწათეთა  
ნა, რათამცა განჰკურნეს, და ვერ შეუძღღეს.

19. მიუგო იესო და ჰრქჳა: ჰი ნათესავი ურწმუნო!  
რემდე ვიყო თქვენ თანა? ვიდრემდე თავს ვიდებდე თქვენ-  
მომგჳარეთ მე იგი აჲა.

20. და მოჰგჳარეს იგი მას. და იხილა რა იგი, მეყჳსე-  
ად სულმან არა წმიდამან დააკჳეთა იგი; და და-რა-ეცა  
ყანასა, ჰგორვიდა და პეროიდა.

21. და ჰკითხა იესო მამასა მისსა: რავდენი ჟამი აქჳს,  
ადგან შეემთხვა ესე? ხოლო მან ჰრქჳა: სიყრმითგან.

22. და მრავალ გზის ცეცხლსა შთააგდო ეგე და წყალ  
რათამცა წარსწყმიდა ეგე. არამედ, რაჲ ძალ-გიძს, შემე-  
ჩენ, უფალო, და წყალობაჲ ჰყავ ჩენთვს.

---

არავისთვის არ ეთქვათ მთაზე ნახულ-გაგონილი, ვიდრე  
მკვდრეთით არ აღსდგებოდა. მოციქულებმაც დაიმარხეს  
ბრძანება, არავისთვის არ უთქვამთ, მაგრამ უკვირდათ კი,  
ნიშნავდა მკვდრეთით აღდგომა იესოსი, მათ მიერ მესი-  
მიჩნეულისა, რომელიც მაშინდელ წარმოდგენით სრული-  
ც არ უნდა მომკვდარიყო.

11—13. მოციქულებმა გაკვირვებითა სთქვეს, რომ მწიგ-  
ნართა მოძღვრების თანახმად, პირველად იუნდა ილია  
ულიყო. იესომ მიუგო, რომ ჳეშმარიტად ილია უნდა  
ულიყო და მოვიდა კიდეც, როგორცა სწერია საღრმთო  
აღში; მოვიდა ილია და მას მოეპყრენ ისე, როგორც  
ოდათ; ილია ურიებმა ვერ იცნეს იოანე ნათლისმცემ-

23. ხოლო იესო ჰრქჳა მას: უკეთუ ძალ-გიძს რწმუნ  
ბად, ყოველივე შესაძლებელ არს მორწმუნისა.

24. და მეყჳსეულად კმა-ჰყო მამამან მის ყრმისამან  
ჰრქჳა ცრემლით: მრწამს, შემეწიე ურწმუნობასა ჩემსა.

25. და ვითარცა იხილა იესო, რამეთუ შეკრებოლ  
ერი მის ზედა, შერისხნა სულსა მას და ჰრქჳა უტყჳსა  
ყრუსა სულსა: მე გიბრძანებ შენ, განვედ მაგისგან, და ნუ  
ღარა შეხჳალ მაგისა.

26. და ღალად-ჰყო, და ფრიად ჰგორვიდა, და განვი  
მისგან, და იქმნა იგი ვითარცა მკჳდარი, ვითარმედ მრავალ  
იტყოდესცა, ვითარმედ მოკჳდა.

27. ხოლო იესო უპყრა კელი მისი, და აღადგინა ი  
და აღსდგა.

---

ლის სახით.

14—29. მარკოზ მახარებელი უფრო ვრცლად მოგვი  
ხრობს ეშმაკეულ ყრმის განკურნების შესახებ, შედარებ  
სხვა მახარებლებთან. როგორცა სჩანს სნეულის ყრმის მამის  
ლაპარაკევიდან და სნეულობის აღწერიდან ეს ყრმა შეპყრ  
ბილი იყო ბნელით; ამ საბრალოს ბნედა ხშირად მოუვლი  
ხოლმე. ერს გაუკვირდა იესო ქრისტეს მოსვლა იმდრო  
როდესაც მწიგნობრები ეკამათებოდნენ მოციქულებს და ცდ  
ლობდნენ მათს შერცხვენას. იესომ ჰკითხა მწიგნობრებ  
რასა გამოქძიებთ ურთაურთას? მაგრამ ყველანი გაჩუმდნენ  
იესოს პასუხი მისცა სნეულის უბედურმა მამამ და აღუწვი  
მას შვილის სნეულება. იესომ საყვედური უბრძანა ყვე  
იქ მყოფთა: ჰი ხათესავი ურწმუნო; ვიდრემდის ვიყო თქჳენ თ  
ვიდრემდე თავს ვაძებდე თქჳენსა? და უბრძანა მოეყვანათ მას  
სნეული. იესო ქრისტე, როგორც მკურნალი, ეკითხება ს  
ულის მამას, რადენი ხანია, რაც მისი შვილი ავად არის.  
მისთვის იყო საჭირო, რომ მამას შეეგნო სიძიმე შვილ  
მდგომარეობისა და მისი უმწეობა. მაგრამ მამას არა ჰქონ

28. და ვითარცა შევიდა იესო სახიდ მოწაფეთა მისთა საგან ჰკითხეს მას: რაჟსათჳს ჩჳენ ვერ შეუძლოეთ განძე-  
მას?

29. ხოლო თავადმან ჰრქჳა მათ: ესე ნათესავი ვერ  
აძლებელ არს განსლჳად, გარნა ლოცვთა და მარხვთა.

30. და მიერ განვიდეს და წარმოვლიდეს გალილეასა,  
არა უნდა, რათამცა აგრძნა ვინ.

31. რამეთუ ასწავებდა მოწაფეთა თჳსთა და ეტყოდა  
რამეთუ ძე კაცისა მიეცემის კელთა კაცთასა და მოჰკ-  
ნ იგი და მორაჰკჳდეს, მესამესა დღესა აღჰსდგეს.

32. ხოლო იგინი უჳეცარ იყჳნეს სიტყჳასა ამას, და  
ნოდა კითხჳად მისა.

33. და მოვიდა კაპერნაუმად და ვითარცა შევიდა იგი  
ქსა და ჰკითხვდა მათ რასა იგი იცილებოდეს ურთიერ-  
გზასა ზედა.

34. ხოლო იგინი სდუმნეს, რამეთუ ურთიერთას იტყო-

---

სარი, მტკიცე და ცხოველი სარწმუნოება და უთხრა იესოს:  
ძალ-გამს შემეწიენ ჩჳენ. ეტყობა, მას სავსებით არა სწამდა  
იერება იესოსი. რწმენა იესო ქრისტეს ყოვლად შემძლებ-  
ბისა არის პირველი პირობა განკურნებისა და საფუძველი  
უკეთუ ძალ-გამს რწმუნებად, ყოველიჲ შესაძლებელ არს  
რწმუნისა. სხვა შემთხვევებში საჭიროა ხოლმე სარწმუნოება  
თონ სნეულისა, აჲ კი მის მაგივრობას ეწევა სარწმუნო-  
მამისა, როგორც ასურ-ფინიკიელი დედაკაცის სარწმუნო-  
მითვალული იქმნა მისის ასულის სარწმუნოების წილ.  
ა ქრისტე ეძიებს სარწმუნოებს, ეხმარება სარწმუნოების  
ვიძებას ამ ტანჯულის გულში და როცა გაიღვიძა ამ  
რწმუნოებამ, შემდეგ მრავლის ტანჯვა მწუხარებისა, მამამ  
ლ-ცრემლიანმა დაღად-ჰყო: მრწამს; შემდეგ, როცა დაი-  
უფსკრული თავისის ურწმუნოებისა, მან დაუმატა: შემე-  
ერწმუნოებას ჩემსა. ასეა ხოლმე ყოველთვის; მხოლოდ ღრმად

დეს გზასა ზედა, ვითარმედ ჩვენგანი ვინმე უდიდეს იყოს.

35. და დაჰსჯდა და მოუწოდა ათ-ორ-მეტა მათ ჰრქვა: ვის უნდეს თქვენგანსა პირველ-ყოფაჲ, იყოს ყოველთა მრწემ და ყოველთა მსახურ.

36. და მოიყუანა ყრმაჲ და დაადგინა იგი შორის მათ და მკლავთა მიიქუა იგი და ჰრქვა მათ:

37. რომელმან ერთი ამათგანი ყრმაჲ შეიწყნაროს სახლისა ჩემისათვის, მე შემიწყნაროს, და რომელმან მე შემიწყნაროს, არა მე შემიწყნაროს, არამედ მომავლინებელი ჩემი.

38. მიუგო მას იოანე და ჰრქვა: მოძღუარ, ვიხილეთ ვინმე, რომელი სახელითა შენითა ეშმაკთა განასხმიდა, რომელი ჩვენ არა შეგვდგს, და ვაყენებლით მას, რამეთუ ან შეგვდგს ჩვენ.

39. ხოლო თავადმან ჰრქვა: ნუ აყენებთ მას; რამეთუ არავინ არს, რომელმან ჰქმნეს ძალი სახელითა ჩემითა და კელეწიფოს ბოროტის სიტყუად ჩემდა.

40. რამეთუ, რომელი არა ჩუნდა მტერ არს, იგი ჩუკერძო არს.

---

მორწმუნეს შეუძლიან იგრძნოს სიდიდე თვისის გულის უწმუნოებისა; მხოლოდ სინათლე გამოაჩენს ხოლმე წყვილად საშიშროებას და სიდიდეს.

ახლა იესო ქრისტემ თვით არა წმიდა სულს მიჰმარო მე გაბრძანებ შენ განგედ და ნუღარა შეხუად მაგისა. იესო, რომელსაც აქვს ხელმწიფება ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, რძანებს ეშმაკს გამოსულიყო სნეულისაგან და აღარ გაებუნა მაში შესვლა. განკურნება უნდა ყოფილიყო სრული საბოლოო. ბოროტი სული დაემორჩილა იესოს ბრძანებ მაგრამ უკანასკნელად ერთხელ კიდევ საშინლად შეაწუხნე სნეული, ასე რომ ის მკვდარი ეგონა ბევრს იქ მყოფთაგან იესომ მოჰკიდა მას ხელი და დაადგინა; ასე განჰკურმან ეს სნეული.

41 რომელმან გასწავს თქვენ სასუმელი წყლისაჲ სახე-  
ჩემდა, რამეთუ ქრისტესნი ხართ, ამინ გეტყვი თქვენ,  
წარუწყმდეს სასყიდელი მისი.

42. და რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთაგანი  
წმუნეთა ჩემდა მიმართ, უმჯობეს არს მისა, გამო-თუმცა  
ქედსა მისსა წისკლის ქუაჲ, ვირით საფქუელი, და შთა-  
თა ზღუასა.

43. და უკეთუ დაგაბრკოლებდეს კელი შენი მოიკრეტე  
უმჯობეს არს შენდა უკელოხსა შესლჳად ცხოვრებასა,  
რე ორთა კელთა სხმასა და შესლჳად გვენიასა, ცეცხლ-  
ას უშრეტსა.

44. სადა იგი მატლი მათი არა მოაკლდების და ცეცხლ-  
არა დაჰშრტების.

45. და უკეთუ ფერკი შენი დაგაბრკოლებდეს შენ, მოი-  
კრე იგი, — უმჯობეს არს შენდა მკელობელისა შესლჳად ცხოვ-  
რება, ვიდრე ორითა ფერკითა შთაგდებად გვენიასა, ცეცხლსა  
უშრეტსა,

---

30—32. იესო წაბრძანდა გალილეაში და არა სურდა,  
ვისმე გზეგო მისი იქ ყოფნა, — მას სურდა მოციქულთა-  
განმარტებინა მომავალი მისი ვნება და სიკვდილი,  
ამ ისინი ვერ მიმხვდარიყვნენ ამას, რადგანაც მათის აზ-  
რით წარმოუდგენელი იყო მესიის სიკვდილი და ვერცა ჰბე-  
დნენ ეკითხნათ იესოსთვის ამის შესახებ.

33—37 როცა ისინი კაპერნაუმში მივიდნენ, იესომ  
სა მათ, გზაში რაზერასა ლაპარაკობდითო, ისინი გაჩუმდნენ  
მ გაჩუმებით იესოს წინაშე აღიარეს თავისი ცოდვა ისი-  
მაზე ლაპარაკობდნენ თუ რომელია მათში უფროსი. იესო  
და მოუწოდა მოციქულებს და უბრძანა: ვის უნდეს თქვენ-  
ში არგუელ-ყოფაჲ, იყოს იგი ყოველთა მრწემ და ყოველთა მსახურ.  
ის და სახლის უფროსი ყოველთვისა ცდილობს და ზრუ-  
ოჯახის თვითეულ წევრის სიკეთისათვის, ცდილობს

46. სადა იგი მატლი მათი არა დაესრულების და ცხლი არა დაპშრტების.

47. და უკეთუ თქალი შენი გატუნებდეს შენ, აღმოიგი,—უმჯობეს არს შენდა ერთითა თქალითა შესლჭად საფეველსა ღმრთისასა, ვიდრე ორითა თქალითა შთაგდებად გნისა ცეცხლისა უშრეტისაჲსა.

48. სადა იგი მატლი მათი არა დაესრულების, და ცხლი არა დაპშრტების.

49. რამეთუ ყოველივე ცეცხლითა დაიმარილოს, ყოველი შესაწირავი მარილითა დაიმარილოს.

50. კეთილ არს მარილი: ხოლო უკეთუ მარილი ურილო იქმნეს, რაჲთაღა შეინელოს იგი? გაქქეს თავისა თვისისა მარილი, და მშვიდობით იყუნეთ ურთიერთას.

### თავი მეათე.

1. და აღჰსდგა მიერ იესო და მოვიდა საზღუართა უფასტანისათა, წიად იორდანესა და შეჰკრებოდა მისა კვალერი, და ვითარცა ჩუეულ იყო, კვალად ასწავებდა მას

---

გაუადვილოს მას ცხოვრება; ამიტომ უფროსი ყველასი მსხურია, ვისაც არა სურს ზრუნვა სხვათა სიკეთისათვის, ვის არ შესტკივა გული უმცროსათათვის, ის არც უნდა ეძიებდ უფროსობას; იესომ აიყვანა იქვე მყოფი ბავშვი, ჩაისვა კათაში და უთხრა მოციქულებს, რომ ქრისტეს მიმდევარ უმანკობით და თავმდაბლობით უნდა ემსგავსნენ ყრმა ვინც შეიწყნარებს და მიიღებს ყრმას იესოს სახელით, შეიწყნარებს და მიიღებს თვით იესოს, ხოლო ვინც მიიღ იესო, მან მიიღო მომავლინებელი მისი ზეციერი მამა.

38—41. იოანე მოციქულს გაახსენდა ესეთი შემთხვევ რომელიც მოხდა მათ ქადაგების დროს,—მათ აუკრძალ ერთს კაცს ეშმაკთა განდევნა იესოს სახელით, მიტომ რეს კაცი არ იყო იესოს მოწაფე და მოციქულებთან ერთ არ დადიოდა, სჩანს რომ ეს კაცი იყო იესოს საიდუმლო მწაფე; მას სწამდა იესოს ღვთაება, მაგრამ მასთან კი არ მოდიოდა იესომ უბრძანა მოციქულებს, რომ ისინი ასე არ უნდა მოჰქცნდნენ ამ კაცს, მიტომ რომ ასეთს კაცს არ შეუძლიან იესო მტრობა და წინააღმდეგობა; ფარისებლები და მწიგნობარ იესოს წინააღმდეგნი იყვნენ. მაგრამ სჩანს, რომ ის კაცი

2. ხოლო ფარისევლები იგი მოუხდეს და ჰკითხვდეს უკეთუ ჯერ არს კაცისა ცოლისა თვისისა განტევებაჲ? და ასცდიდეს მას.

3. ხოლო თავადმან მიუვო და ჰრქვა მათ: ვითარ გამოთქვენ მოსე?

4. ხოლო მათ ჰრქვეს: მოსე ჰბრძანა წიგნი განშორების ცემად და განტევებად.

5. მიუვო იესო და ჰრქვა მათ: გულფიცხელობისა თქვენათვის დაჰსწერა მოსე მცნებაჲ ვეგ.

6. ხოლო დასაბამითგან დაბადებისათ მამაკაცად და დედაცად შეჰქმნა იგინი ღმერთმან და ჰსთქვა

7. ამისთვის დაუტეოს კაცმან მამაჲ თვისი და დედაჲ თვისი, შეეყოს ცოლსა თვისსა.

8. და იყვნენ ორნივე იგი ერთ-კორც, ვითარმედ არღარიან ორ, არამედ ერთ-კორც.

9. რომელნი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებნ.

10. და მერმე სახლსა რა შინა იყო, კვალად მისივე ყვეისათვის ჰკითხვდეს მას მოწაფენი მისნი, ხოლო იესო რქა მათ:

---

მომხრე ყოფილა. თუ ჯილდოს ღირსია ის კაცი, რომელიც იესო ქრისტეს სახელით წყალს დააღვინებს მოციქულებს და ეს სამსახური ღიდად დაფასდება, მით უმეტესი ჯილდოს ღირსნი არიან მოციქულნი, რომლებიც ქრისტესთან არიან.

42—50. ამის შემდეგ იესომ ბრძანა რა სასჯელი მოეცა საცთურის შემტანს, ე. ი. იმას, ვინც აცთუნებს მისს სოებელს და მორწმუნეს ასეთი კაცისთვის უმჯობესია რომ მოიბას ყელზე წისქვილის ქვა და წყალში გადავარდეს. საცთურის ასაცილებლად თავიდან ქრისტეანე არ უნდა მოერიბას არაგვარს მსხვერპლს,—სხეულის ასოებაც კი უნდა გაიხრას მისთვის. ქრისტეანს ყოველთვის მოელის ცეცხლი უხარებისა და განსაცდელთა განსამტკიცებლად სულიერს აწლში. როგორც ძველს აღთქმაში მარილს უშვრებოდნენ ვერპლად შესაწირავს ხორცს და ეს მარილი მას გემოს ღვედა. ისე ქრისტეს მორწმუნეს უნდა ჰქონდეს მარილის ვის გაწირვისა განსაცდელთან და საცთურებთან ბრძოლაში.

### X

იესო ქრისტეს წაბრძანება ურიასტანის საზღვრებისკენ. რწინების განუყრელობა (1--12). კურთხევა ყრმათა (13--16).

11. უკეთუ განუტეოს ქმარმან ცოლი თვისი და შეითოს სხუაჲ, მან იმრუშა.

12. და ცოლი თუ განვიდეს ქმრისაგან და შეერთოს სხუასა, მანცა იმრუშა.

13. და მოჰგვრიდეს მას ყრმებსა, რათა კელი დასლტყმათ; ხოლო მოწაფენი აყენებდეს მათ, რომელი იგი მოჰგვრიდეს.

14. ვითარცა იხილა იესო, შეჰკრისხნა მათ, და ჰრქვა აცადეთ ყრმებსა მაგას მოსლტყად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგარამეთუ ეგე ვითართა არს სასუფეველი ცათა.

15. ამინ გეტყვი თქვენ, რამეთუ რომელმან არა შეიყნაროს სასუფეველი ღმრთისაჲ, ვითარცა ყრმა, ვერ შევიდეს მეცა.

16. და შეიტკობდა მათ, და დაჰსხმიდა მათ ზედა კელთა და აკურთხევდა მათ.

17. და ვითარცა გამოვიდა იგი გზასა, ესერა მდიდაჲ ვინმე მოჰრბიოდა მისა, და მუკლნი დაიდგნა მის წინაშე ევედრებოდა მას და ეტყოდა: მოძღუარო სახიერო, რომელსაქმც ვჰქმნა, რათა ცხოვრებაჲ საუკუნოჲ დავიმკვიდრო.

18. ხოლო იესო ჰრქვა მას: რასა მეტყვი მე სახიერიო არავინ არს სახიერ, გრნა ღმერთი ხოლო.

---

საუბრი სიმდიდრის შესახებ (17—27). ჯილდო ქრისტეს მიმდევართა (28—31). წინასწარ თქმა იესოს ვნებისა, სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომისა (32—34). თხოვნა ძეთა ზებედესთა დარიგება სიმდაბლის შესახებ (35—45). განკურნება ბრძანებით ბარტიმეოსისა იერიქონის შესავალში (46—52).

1. გალილიედან იესო ქრისტე წაბრძანდა ურიასტანისკენ, იერუსალიმისკენ. მასთან იკრიბებოდა ერი მრავალი რომელსაც იგი ჩვეულებისამებრ, ასწავლიდა.

2—12. იესო ქრისტეს საუბარი ფარისევლებთან ქორწინების გაყრის შესახებ მარკოზ მახარებელს მოთხრობილს აქვს საზოგადოდ და უმთავრეს ნაწილად თანახმად მატთ მახარებლის მოთხრობისა; მხოლოდ ზოგი ერთი სიტყვებ

19. მცნებანი იცნი: ნუ კაც-ჰკლავ; ნუ იპარავ; ნუ ილსა ჰსწამებ; ნუ დააკლებ კეთილის ყოფად; ჰატივ-ეც მამასა ენსა და დედასა შენსა.

20. ხოლო მან მიუგო და ჰრქჳ მას: ესე ყოველი ვჳავ კბატუკით ჩემითგან, რაჲლა მაკლს მე?

21. ხოლო იესო მიჰხედა შეუყჳარდა იგი და ჰრქჳ მას: კეთუ გნებავს სრულ-ყოფაჲ, ერთილა გაკლს შენ; წარვედ და არღენი გაქჳს განჰსყიდე და მიეც გლახაკთა, და გაქჳნდეს უნჯც ცათა შინა; აღილე ჯჳარი, მოვედ და შემომიდეგ მე.

22. ხოლო იგი შეჰსწუხნა ამის სიტყუსთჳს, და წარვიდა უხარე, რამეთუ აქჳნდა მონაგები ფრიად.

23. და მიმოიხილა იესო და ჰრქჳ მოწათეთა თჳსთა, ითარმედ ძნიად შევიდენ სასუფეველსა ღმრთისასა, რომელთა ქჳს საფასც.

---

აქსოვრისა მარკოზ მახარებელს მოყვანილი აქვს სხვა ადგი-  
იან. რასაკვირველია, ამით სრულიად არ იცვლამა არსება და  
ხარა მოთხრობისა.

13 16. ამ დროს იესოსთან მოიყვანეს ბავშვები, ყრმები,  
ომ მაცხოვარი შეხებოდა მათ, ხელი დაედო მათთვის. ყრმა-  
ა მომყვანებს სწამდათ, რომ იესოს ხელის შეხებით ყრმანი  
ანჯკურნებოდნენ სენთაგან (1,41; 3,10). მაგრამ მოციქუ-  
იერი ხელს უშლიდნენ ყრმათა მშობლებს და არ უშვებდნენ  
ათ იესოსთან. იესომ იხალა ეს და შერისხნა მოციქულებს,  
ადგანაც მოციქულნი იქმოდნენ არა კეთილს და არა ღვთის  
ათხო საქმეს; მათ ვერ შეეგნოთ, რომ არ შეიძლება ყრმათა  
ამაკლება ცათა სასუფეველის წევრთა რიცხვიდან. იესომ  
ქმდნა მოციქულებს: რამეჲმან არა შეაწენაროს სასუფეველი  
ქმისაჲ, ვითარცა ურმა, ე. ი. ვინც ეხლა არ მიიღებს ქადაგე-  
ას ცათა სასუფეველის შესახებ ყრმულის ნდობით, იგი ვერ  
ეჲ მომავალს დიდებულს ღვთის სასუფეველში, რომელიც  
ამოჩნდება ჟამთა აღსასრულს. იესომ აიყვანა ყრმები, მიიხუტა

24. ხოლო მოწაფეთა დაუკრდებოდა სიტყუასა ან ზედა. ხოლო იესო კვალად მიუგო და ჰრქჳა მათ: რაოდენ ელ არს, რომელნი საფასეთა ესტენ, შესლჳაჲ სასუფეველსა ღმრთისასა!

25. უადვილეს არს აქლემი კჳრელსა ნემსისასა განსჳლავიდრე მდიდარი შესლჳად სასუფეველსა ღმრთისასა.

26. ხოლო მათ უმეტესად განუკრდებოდა და იტყუდეს ურთიერთას: და ვის ძალუძს ცხოვრებად?

27. მიჰხედა მათ იესო და ჰრქჳა: კაცთა მიერ შეუძლბელ არს, არამედ არა ღმრთისაგანცა; რამეთუ ყოველი შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ.

28. იწყო პეტრე სიტყუად მისა და ჰრქჳა: აჰა ესტრჩჳენ დაუტევეთ ყოველივე და შეგიდევით შენ.

29. მიუგო იესო და ჰრქჳა მათ: ამინ გეტყვ თაჲ არავინ არს, რომელმან დაუტევა სახლი, გინა ძმანი, გინა დანი, გინა მამაჲ, გინა დედაჲ, გინა ცოლი გინა შვილი გინა აგარაკნი ჩემთვის და სახარებისა ამისათვის,

30. უკეთუ არა მოილოს ასი წილი აწ ეამსა ამას, სალი, და ძმანი და დანი, მამაჲ და დედაჲ, და შვილი, აგარაკნი შემდგომად დევნისა, და საუკუნესა მას მომავალ ცხოვრებაჲ საუკუნოჲ.

---

გულში, აკურთხა და დალოცა ისინი. ეს ადგილი მარკოზს სახარებისა მშვენიერად ამტკიცებს კაცის მონათვლის საქროებას სიყრმეშივე.

17—27. იესო ქრისტეს საუბარი მდიდარ კაბუკთან (მოციქულებთან სიმდიდრის შესახებ მარკოზ მახარებელს მოხრობილი აქვს მატთე მახარებლის მსგავსად, მხოლოდ ალაგ-ალაგ შეავსებს მატთე მახარებლის მოთხრობას. მდიდრის შესახებ მატთე ამბობს, რომ ის იყო კაბუკი, მარკოზი, მდიდარი ვინმე; ეს მდიდარი ვინმე, მარკოზ მახარებლის სიტყვით, მოჭრბილდა იესოსთან და მუხლნი დაიდგნა მას წინაშე. ამას მაცხოვარი გვიჩვენებს მდიდარის კაცის ყმაწვილურს სიფიცხად და გულწრფელს სურვილს გაიგოს, რა აზრისაა იესო სიმდიდრეზე. იესომ შეჰხედა კაბუკს და შეუყვარდა იგი. სიყვარულ

31. ხოლო მრავალნი იყვნენ პირველნი უკანასკნელ და  
ნასკნელნი პირველ.

32. და იყვნეს გზასა ზედა და აღვიდოდეს იერუსალიმად,  
იესო წინა უძლოდა მათ, და დაუკვრდებოდა მოწაფეთა;  
ხო იგინი მიჰსდევდეს მას და ეშინოდა, და წარმოიყუანა  
ლად ათ ორ მეტნი იგი და იწყო თხრობად მათდა მერმისა  
იკს, რომელი შემთხვევად იყო მისა

33. ვითარმედ, აჰა ესერა აღვალთ იერუსალიმად, და ძე  
ის მიეცემის მღვდელთ-მთავართა და მწიგნობართა, და დასა-  
ნ იგი სიკჳდილიდ და მიჰსცენ იგი წარმართთა.

34. და ეკიცხდენ მას, დაჰსტანჯონ იგი, და ჰწერწყ-  
ნენ მას, და მოჰკლან იგი, და მესამესა დღესა აღაჰსდგეს.

35. და მოვიდეს იაკობ და იოანე, ძენი ზებედესნი და  
ჩეს; გნებავს, რათა რომელი გთხოვოთ, მიყო ჩვენ.

36. ხოლო თავადმან ჰრქვა მათ, რაჲ გნებავს ჩემგან,  
რა გიყო თქვენ?

37. ხოლო მათ ჰრქვეს მას: მომეც ჩვენ, რათა ერთი  
გუნით და ერთი მარცხენით შენსა დავჰსხდეთ დიდებასა შენსა

---

ისი და მოსაწონი იყო ამ კაცის სურვილი სასუფევლის  
მარტივის გზის პოვნისა, სურვილი სჯულის სიღრმეში ჩა-  
ვისა და ჩაკვირვებისა, იესომ უბრძანა, რომ მას ერთიდა  
და, ე. ი. სასუფევლოს დამკვიდრებისათვის საკმარისი არა  
ფილა მარტო გარეგნული აღსრულება მცნებათა, საჭირო,  
ფილა სინანული და შედგომა ქრისტესი. მოციქულები  
ვირდნენ ამ სიტყვებით, მაგრამ იესომ დაამწვიდა ისინი.<sup>1)</sup>

28—31. პეტრე მოციქულმა მოახსენა იესო ქრისტეს  
ლა მოციქულთა მაგივრად, რომ მათ დაუტევეს ყოველი-  
რაჲც რამ ებადათ და შეუდგნენ იესოს. პასუხად იესო  
ისტემ ჩამოთვალა ყველა ის ჯილდო, რომელიც მოელოდა  
ციქულებს და ქრისტეს ჭეშმარიტ მიმდევართ. ის ბრძანებს

<sup>1)</sup> ქართულს სახარებაში 19 მუხლში აკლია მცნება—არა იმრუშო;  
სულში და სლავიანურში არის

38. ხოლო იესო ჰრქჳა მათ: არა იცით, რასა ითხოვთ და რა დასჯისა დასჯისა, რომელსა მე შეხსნამ შესჳმად და რა დასჯისა, რომელსა მე ნათელ-ვილებ ნათლისდებად?

39. ხოლო მათ ჰრქჳეს მას: დალ-გვიძს. ხოლო იესო ჰრქჳა მათ: სასუმელი სამე, რომლისა მე ვსჳმ, ჰსჳათ, ნათლისდებაჲ, რომელი მე ნათელ-ვილო, ნათელ ილოთ.

40. ხოლო დაჯდომაჲ მარჯჳენით ჩემსა და მარცხენით არა არს ჩემი მიცემად, არამედ ვიეთდა განმზადებულ არს ჩემსა.

41. და ესმა რა ესე ათთა მათ, იწყეს რისხვა იაკობს და იოანესსა.

42. ხოლო იესო მოუწოდა და ჰრქჳა მათ: უწყით რომეთუ რომელნი იგი ჰგონებედ მთავრად წარმართთა, უწყით რომელნი იგი ჰგონებედ მათ ზედა და დიდ-დიდნი მათნი კელმწიფებენ ჰგონებედ ზედა.

43. ხოლო არა ეგრე იყოს თქჳენ შორის, არამედ რომელსა უნდეს დიდ ყოფაჲ თქჳენ შორის, იყოს თქჳენ მსახურ.

---

რომ ეს ჯილდო საუკუნოც იქნება და დროებითი სააქაოს მორწმუნე მიიღებს ასჯერ მეტს იმაზე, რაზედ უარი უთქვამს ქრისტეს შედგომის დროს, საიქიოს კი მიიღებს საუკუნო ნეტარებას. რასაკვირველია, სახლებსა და დედამად, და ძმებად აქ უნდა ვიგულისხმოთ სულიერი სიბრძნე, რომელსაც ჰპოებს ქრისტეს წიმიდევარი. მაგრამ მაცხადი იმასაც ბრძანებს, რომ ქრისტეანენი დევნას დაითმენ სააქაოს.

32—45. მარკოზ მახარობელი მოგვითხრობს, რომ იერსალიმის გზაზე იესო წინ მიუძღოდა მოციქულებს. ის წინ მიუძღოდა მათ გასამხნეველად მომავალს ბრძოლაში. მოციქულებს უკვირდათ ასეთი გაბედულობა იესოსი და, ეშინოდათ. ამ დროს მასთან მივიდნენ მოციქულნი იაკობ და იოანე, ძენი ზებედესნი და სთხოვეს ერთი მათგანი დაე

44. და რომელსა უნდეს თქვენ შორის პირველყოფაჲ, იყოს ყოველთა მონა.

45. და რამეთუ ძე კაცისა არა მოვიდა, ვითარცა იმსახურა, არამედ მსახურებად და მიცემად სული თვისი სასკრად პრავალთა.

46. და მოვიდეს იერიქოდ, და ვითარცა გამოვიდა იესო და მოწაფენი მისნი იერიქოდ, და ერი მრავალი მათ თანა, ძე ტიმესი ბარტიმეოს ბრმა, ჰსჯდა გზასა თანა მთხ ოველად.

47 და ესმა რა, რამეთუ იესო ნაზარეველი არს, იწყო ღალადებად და სიტყუად: იესო ძეო დავითისო, შემიწყალე მე.

48. და ჰრისხვდეს მას მრავალნი, რათა დაჰსდუმნეს: ხოლო იგი უფროს დალაღებდა: ძეო დავითისო, შემიწყალე მე.

49. და ჰსდგა იესო და ბრძანა მოწოდებაჲ მისი. და და მოუწოდეს ბრმასა მას და ეტყოდეს: ნუ გეშინინ, აღჰსდგე; გიყენს შენ.

---

მარჯვენით და ერთი მარცხენით დიდებასა თვისსა. ეს ამბავი მარკოზ მახარებელს მატთე მახარებლის თანახმად აქვს მოთხრობილი.

46—52. იერიქოში ბრმის განკურნების ამბავს მატთე მახარებელიც მოგვითხრობს, ის მოგვითხრობს შესახებ ორის-ბრმისა, მატთე კი ერთისა, რომელსაც ერქვა ბარტიმეოს, ე. ი. ძე ტიმესი; ალბათ ეს ბრმა უფრო ცნობილი იყო იერიქოელთათვის. როცა ამ ბრმამ გაიგო, რომ იესო მას უწოდდა, მოიხადა ზევითა ტანისამოსი და გაიქცა იესოსთან, რომელმაც განკურნა იგი.

## XI

